



# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის  
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის  
ოქტომბრის 1.

№ 18  
განყოფილება პირველი

ა/კსფსრ სახალ. კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართვე-  
ლობის მიერ გამოცემული

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

- მუხ. 157. მოწარდთა შრომის დაცვისათვის ზედამხედველობის გასაძლიერებლად შრომის ინსპექციის შტატგარეშე ასისტენტების მუდმივი სამსახურის ადგილიდან განთავისუფლების შესახებ.
- „ 158. 1929-30 წლისთვის ა/კსფსრ-ში ქალაქად და სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ.
- „ 159. სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა აპარატის მუშაობისა და სტრუქტურის რაციონალიზაციის მიზნით წარდგენილი წინადადებებისათვის პრემიების მიცემის შესახებ.
- „ 160. სახელმწიფო, კოოპერატიულ და პროფესიონალურ დაწესებულებათა აპარატის შედგენილობის აღწესების შესახებ.
- „ 161. სახლის საბავშვო ბავათა მოწყობის შესახებ.
- „ 162. „შრომის ბაზრის მოწყობისა, სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეებისა და სოფლისა და ტყის მეურნეობის სპეციალისტების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს დადგენილების მე-5 მუხლის დამატების შესახებ.
- „ 163. ა/კსფსრ-ში მუშათა ცენტრების სასურსათო პროდუქტებით მომარაგების ღონისძიებათა შესახებ.
- „ 164. ამიერკავკასიის რკინის გზებზე მომხდარი შემთხვევებისა და კატასტროფების საქმეებისათვის შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეუფარდებლობის შესახებ.
- „ 165. შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასასვლელად დანიშნულ საწარმოთა და დაწესებულებათა უზრუნველსაყოფად მუშა-ძალის კვალიფიციური კადრების მომზადებისა და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან სათანადო საუწყებო კომისიების მოწყობის შესახებ.
- „ 166. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ.
- „ 167. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.
- „ 168. ა/კსფსრ ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ.

## დადგენილება № 161 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**157.** მოზარდთა შრომის დაცვისათვის ზედამხედველობის გასაძლიერებლად შრომის ინსპექციის შტატგარეშე ასისტენტების მუდმივი სამსახურის ადგილიდან განთავისუფლების შესახებ.

ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოსა, დაწესებულებადა და მეურნეობაში მომუშავე მოზარდთა და მცირეწლოვანთა შრომის მიმართ შრომის მომქმედი კანონდებულებების განხორციელებისათვის შრომის ინსპექციის ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. დაევალოს იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოს, დაწესებულებას და მეურნეობას, რომლის სამსახურშიაც იმყოფებიან შრომის ინსპექციის შტატგარეშე ასისტენტები, გაანთავისუფლოს ხოლმე ისინი საასისტენტო მუშაობის შესასრულებლად ყოველკვირა ერთი დღით და შეუნარჩუნოს მათ საწარმოს, დაწესებულებისა თუ მეურნეობის ხარჯზე მათი საშუალო სამუშაო ხელფასი.

**შენიშვნა.** შტატგარეშე ისისტენტებს საწარმო, დაწესებულება და მეურნეობა გაანთავისუფლებს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების წინადადებით-

2. განსაზღვრულ იქნეს შემდეგი რიცხვი შტატგარეშე ასისტენტებისა, რომელნიც განთავისუფლებულ უნდა იყვნენ: აზერბაიჯანის სსრში—თორმეტი, საქართველოს სსრ-ში—რვა, სომხეთის სსრ-ში—ხუთი, ხოლო მთლად ა/კსფსრ-ში—ოცდახუთი კაცი.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, ჩაატარონ მე-2 მუხლში აღნიშნული შტატგარეშე ასისტენტების მიმაგრება სამრეწველო რაიონების შრომის ინსპექციის კამერებზე შტატგარეშე ასისტენტების საერთო რიცხვიდან,

4. მიენდოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჭუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. სექტემბრის 12. ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 162 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 158. 1929-30 წლისთვის ა/კსფსრ-ში ქალაქად და სოფლად სა- ვალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1929 წ. ივნისის 28-ს დადგენილების თანახმად დაწესებულ იქნეს 1929-30 საბიუჯეტო წლისთვის ა/კსფსრ ტერიტორიაზე სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა:

ა) შენობებისა—ცეცხლისაგან ამა დადგენილების დანართში ჩამოთვლილ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში იმავე დანართში აღნიშნული ტარიფების მიხედვით და ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ნორმების თანახმად;

ბ) მცენარეულობის კულტურებისა—დასეტყვისაგან ქალაქად და სოფლად ამა დადგენილების მე-2 დანართში აღნიშნული ნორმებისა და ტარიფების მიხედვით;

გ) შინაური პირუტყვებისა—სიკვდილისაგან, სახელდობრ—მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა წლოვანობით 1 $\frac{1}{2}$  წლისა და მეტი ხნისა და ცხენებისა, აქლემებისა და ვირებისა წლოვანობით 2 $\frac{1}{2}$  წლისა და მეტი ხნისა—ქალაქად და სოფლად—იმ ნორმებისა და ტარიფების მიხედვით, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-3 დანართში.

**შენიშვნა.** მცენარეულობის კულტურებისა და შინაური პირუტყვების დაზღვევა ა/კსფსრ მაზრებსა და ოლქებში შემოიღება იმ შემთხვევაში, უკეთუ ამის თაობაზე საბჭოთა სამაზრო (ან მისი შესაბამისი) ყრილობა ან აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმი გამოიტანს დადგენილებას 1929 წ. სექტემბრის 1-დღე. ეს დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. აღნიშნული ორგანოს მიერ წინად გამოტანილი დადგენილება—შემოაღნიშნული სახის სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ—ძალაში რჩება 1929-30 საბიუჯეტო წლისთვისაც, უკეთუ იგი ხსენებული ორგანოს მიერ გაუქმებული არ არის.

2. სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის წესით შენობების ცეცხლისაგან დაზღვევის ნორმები ქალაქად (მუხ. 1) განსაზღვრულ იქნეს შენობის შეფასების სამოცდახუთმეტი პროცენტის რაოდენობით, ხოლო, ამასთანავე, იმ პირობით, რომ ეს ნორმები ორას მანეთზე ნაკლები არ იყოს საცხოვრებელი შენობისათვის და ორმოცდაათ მანეთზე ნაკლები—არასაცხოვრებელი შენობისათვის. უკეთუ დასაზღვევი შენობის შეფასება აღნიშნულ მინიმალურ ნორმებზე ნაკლები იქნება, შენობა დაზღვეულ უნდა იქნეს სრული სადასაზღვეო შეფასების მიხედვით.

3. ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ, სახელმწიფო დაზღვევის სათანადო ორგანოს დასკვნის მოთხოვნის შემდეგ:

ა) ცალკეულ შემთხვევაში, უკეთეს შენობის შეფასების ღირებულებასა და ნასყიდობის ღირებულებას შორის თვალსაჩინო განსხვავებაა, შეამცირონ ხოლმე უზრუნველყოფის პროცენტი ისეთი ვარაუდით, რომ უზრუნველყოფა შეადგენდეს არა უმეტეს შენობის ნასყიდობის სამოცდახუთმეტი პროცენტისა;

ბ) შესცვალონ ხოლმე ოცი პროცენტის ფარგლებში როგორც გადიდების მხრით, ისე შემცირების მხრით მცენარეულობის კულტურების სეტყვისაგან, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა, ცხენებისა, აქლემებისა და ვირების სიკვდილისაგან საგადანაკვეთო დაზღვევის ნორმები;

გ) გაადიდონ ხოლმე ერთი წლით სადასაზღვევო წლოვანობა მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და გაადიდონ და შეამცირონ ერთი წლით სადასაზღვევო წლოვანობა ცხენებისა, აქლემებისა და ვირებისა;

დ) დააწესონ ცხენებისათვის წლოვანობით  $1\frac{1}{2}$  წლიდან  $2\frac{1}{2}$  წლამდე, სათანადო საერთო ნორმებთან შედარებით, ორმოცდაათი პროცენტის ფარგლებში შემცირებული განსაკუთრებული ნორმები;

ე) გაადიდონ ხოლმე სამოცდახუთმეტი პროცენტამდე კოლექტიურ მეურნეობათა კუთვნილი ნათესების სადასაზღვევო უზრუნველყოფის ნორმის ღირებულობა.

4. სადასაზღვევო სასყიდელი (სადასაზღვევო პრემია) შეტანილ უნდა იქნეს 1929 წლის ოქტომბრის 1-დან ვიდრე დეკემბრის 31-მდე. ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ აღნიშნული ვადის ფარგლებში, საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, დააწესონ სასყიდლის შესატანად კერძო ვადები როგორც მთლად რესპუბლიკისათვის, ისე ცალკეული ადგილებისათვის.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, ცალკეული ადგილებისათვის, აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ დააწესონ სადასაზღვევო სასყიდლის ნებაყოფლობით შესატანად უფრო შორეული საბოლოო ვადები, ხოლო არა უხანგრძლივეს 1930 წ. მარტის 31-სა. სახალხო კომისართა საბჭოების მიერ დაწესებული ვადები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისათვის და საბიუჯეტო წლის განმავლობაში ამ ვადების შეცვლა არ შეიძლება.

5. განსაზღვრულ ვადაზე შეუტანელი სასყიდელი მიიქცევა ნარჩენად და, მე-6 მუხლში აღნიშნული შეღავათების ინდივიდუალური განაწილების შემდეგ, გადახდევინებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული (უდავო) წესით; ამასთანავე ნარჩენს დაერიცხება საურავი 0,2 პროცენტის რაოდენობით თვითეული ვადაგადაცდენილი დღისთვის (ან 3 პროცენტი თვითეული ორი კვირისთვის ან და 6 პროცენტი თვითეული თვისთვის).

საურავის დარიცხვა შეწყდება საბიუჯეტო წლის გასვლისას.

შეწერილი სასყიდლის უდავო (იძულებითი) გადახდევინება სწარმოებს იმავე წესით, და გადახდევინებას აწარმოებენ იგივე ორგანოები, როგორც ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის გადახდევინება, თანახმად იმ წესები-

სა, რაც აღნიშნულია „გადასახადთა გადახდევინების დებულებაში„ და „ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების ინსტრუქციაში“ (§§ 510—37). ამასთანავე, საჩივრები თანამდებობის პირთა ნოქმედებასა და განქარგულებაზე იძულებითი გადახდევინების დროს შეიტანება უშუალოდ სამაზრო (საოლქო) აღმასრულებელ კომიტეტში.

6. წითელარმიელთა ოჯახების უღარიბესი მეურნეობანი ან სტიქიურ უბედურებათა გამო აოხრებული მეურნეობანი, აგრეთვე მცირეძალოვანი გადასახლებულნი და განსახლებულნი, პირველ წელს მათი დასახლებისას, განთავისუფლებიან სადასაზღვევო სასყიდლის შეტანისაგან სრულად ან ნაწილობრივ.

მოხალისე სახანძარო ორგანიზაციები, სასამსახურო შენობებისა და საშტატო ცხენთა შედგენილობის დაზღვევის სფეროში, განთავისუფლებიან სრულად სადასაზღვევო სასყიდლის გადახდისაგან.

ამა მუხლში აღნიშნული შეღავათების საერთო თანხა თვითეულ რესპუბლიკაში არ უნდა აღემატებოდეს სოფლად ყოველი სახის დაზღვევისათვის შეწერილი სასყიდლის თანხის ხუთმეტ პროცენტს, ხოლო ქალაქად—შენობების საგადასახადო დაზღვევისათვის შეწერილი სასყიდლის თანხის ათ პროცენტს და პირუტყვთა და მცენარეულობის კულტურათა დაზღვევისათვის—შვიდ პროცენტს.

ამა მუხლში აღნიშნული შეღავათების მინიჭების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციებით, რომლებსაც დაამტკიცებენ ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიური თათბირები.

7. პროფესიონალური კავშირების წევრებისათვის, მუშა-მოსამსახურეებისათვის, სოციალურად უზრუნველყოფილი პირებისათვის, მოხალისე სახანძარო რაზმების წევრებისათვის და მარტოხელა შინამრეწველებისათვის, აგრეთვე ყველა ისეთი შენაერთისათვის, რომელიც შესდგება ზემოაღნიშნული კატეგორიის პირებისაგან, დაწესდება საგადასახადო დაზღვევაზე ქალაქად მცენარეულობის კულტურებისა—დასეტყვისაგან და შენობებისა—ცეცხლისაგან (იმ პირობით, რომ ეს შენობები გადაცემული არ იყოს სრულად სხვა პირებზე იჯარით ან სხვაგვარი სარგებლობისათვის) მონაკლები პრემიის ტარიფების ოცი პროცენტის რაოდენობით.

8. სადასაზღვევო სასყიდლის შეკრეფა სოფლად დაეკისრება სოფლის საბჭოებს (საქართველოს სსრ-ში—სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს) თავმჯდომარეთა პირადი პასუხისგებით, ხოლო ქალაქად—ამკრეფთ, რომელთაც დანიშნავს სახელმწიფო დაზღვევის აგენტი—აღმასრულებელ კომიტეტებთან ან საქალაქო საბჭოებთან შეთანხმებით. შეწერილი სადასაზღვევო სასყიდლის შეკრეფისათვის სახელმწიფო დაზღვევის სათანადო ორგანოს მიერ დაწესებული გასამრჯელო მთლად უნდა გადაეცეს იმ პირთ, რომელნიც უშუალოდ შეკრეფენ სადასაზღვევო სასყიდელს.

**შენიშვნა.** სახელმწიფო დაზღვევის აგენტებს შეუძლიანთ აწარმოონ შეკრეფა სასოფლო საბჭოების თანაბრად.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჭუსეინოვი.

ა/კსტსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. ზახტაძე.

1929 წ. სექტემბრის 12. ტფილისი—სასახლე.

დ ა ნ ა რ თ ი

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებიანა—ა/კსფსრ-ში ქალაქად და სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის შესახებ.

1929-30 წლისთვის.

დანართი 1.

ნუსხა ა/კსფსრ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილებისა სატარიფო განაკვეთების აღნიშვნით.

(კაპიკობით სადასაზღვეო თანხის 100 მან.)

ცეცხლისაგან შენობების სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევა-აზერბაიჯანის სსრ-კა და სომხეთის სსრ-კა.

განაკვეთები.

აღღამი, აღღაში, ბაქო, ვალარშაფათი, განჯა, გორისი, გოგჩა, დელიჯანი, ზაქათალა, ყაზახი, ყარაქლისი, ყუბა, ლაჩინი, ლენინაკანი, ლენქორანი, ნახიჩევანი, ახალ-ბაიაზეთი, ნუხა, ორდუბათი, სალიანი, სარღარი, სტეფანაკერტი, შამხორი, შემახა, შუშა, ერივანი . . . . . 10

საქართველოს სსრ-კა.

ბათუმი, ტფილისი . . . . . 10

ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, გაგრა, გორი, გუდაუთი, დუშეთი, ზესტაფონი, ზუგდიდი, ქუთაისი, ლუქსემბურგი, ოზურგეთი, ონი, ოჩემჩირი, ფოთი, სამტრედია, საჩხერე, ახალ-სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, თელავი, ხარაგოული, ხაშური, ხონი, ცხინვალი, ქიათურა, ჩხარი, შაუმიანი . . . . . 20

დანართი 2.

ნორმები და ტარიფები სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევისათვის.

ა. ნორმები.

	მანეთობით დესეტინაზე		მანეთობით დესეტინაზე
ბამბა . . . . .	150	თაბაქო ყვითელი სხვ. ადგ.	200
ბაღჩა და ბოსტანი . . . .	150	თამბაქო-წიქო . . . . .	100
ბრინჯი . . . . .	100	ხილის ბალი . . . . .	120
კენაფი . . . . .	80	ვენახი . . . . .	200
აბუსალათინი . . . . .	50	სვია . . . . .	500
პიტნა . . . . .	100	სახაშხაშე ყაყაჩო . . . .	100
თამბაქო ყვითელი (აფხა- ზეთის სსრ-ში) . . . . .	300	ყველა სხვა მცენ. კულტუ- რა და ნათესი . . . . .	30

**ბ. ტ ა რ ი ფ ე ბ ი .**

ა/კფსრ ტერიტორია სეტყვის საფრთხიანობის მიხედვით განიყოფება ოთხ ზოლად, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კულტურები სეტყვამგრძობელობის მიხედვით—სამ კლასად.

**სეტყვის საფრთხიანობის ზოლები ა/კფსრ-ში.**

1-ლი ზოლი აზერბაიჯანის სსრ-ში:

- აღღამის მაზრა
- ბაქოს მაზრა
- გოგჩის მაზრა
- ყუბის მაზრა
- ლენქორანის მაზრა
- სალიანის მაზრა
- შემახის მაზრა

საქართველოს სსრ-ში:  
შორაპნის მაზრა  
ქუთაისის მაზრა

მე-2 ზოლი აზერბაიჯანის სსრ-ში:

- განჯის მაზრა
- ზაქათლის მაზრა
- ყაზახის მაზრა
- ნუხის მაზრა

საქართველოს სსრ-ში:

- ტფილისის მაზრა
- აფხაზეთის სსრ-კა

მე-3 ზოლი სომხეთის სსრ-ში:

- დარალაგეზის მაზრა
- ერივანის მაზრა
- ენშიაძინის მაზრა

საქართველოს სსრ-ში:

- სიღნაღის მაზრა
- სენაკის მაზრა
- ახალქალაქის მაზრა
- ახალციხის მაზრა
- ბორჩალოს მაზრა

აზერბაიჯანის სსრ-ში:

ნახიჩევანის ავტ. სსრ-კა

მე-4 ზოლი აზერბაიჯანის სსრ-ში:

- ჯებრაილის მაზრა
- ქურდისტანის მაზრა
- მთის ყარაბაღის ავტ. ოლქი

სომხეთის სსრ-ში

- დელიჯანის მაზრა
- ზანგეზურის მაზრა
- ლენინაკანის მაზრა
- ლორი-ბამბაკის მაზრა
- ახალ-ბაიაზეთის მაზრა

საქართველოს სსრ-ში:

- გორის მაზრა
- ღუშეთის მაზრა
- თელავის მაზრა
- რაჭის მაზრა
- ლენჩხუმის მაზრა
- სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი

**სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეტყვამგრძობელობის კლასები ა/კფსრ-თვის.**

1 კლასი: სიმინდი, ფესვნარი-ძირკენარები (საკვები და საბოსტნე ჭარხა-ლი, კარტოფილი, მიწივაშლა, ბოლოკი, თაღვამი) საკვები ბალახი (იონჯა), სათითურა (ტიმოფევკა), ქვავი, ხორბალი, ისლი, ქერი, სორგო, ღომი, შვრია, ფეტვი, საბოსტნე მარცვლეული (მუხუდო, ოსპი, ცერცვი, ვიკა, ლობიო), საფრ-ცქენელი, სუდანის ბალახი.

2 კლასი: გრეჩიხა, ბრინჯი, საზეთე მარცვლეული (მზეუჭვრიტა, კუნჯუ-თი, აბუსალათინი, ყაყაჩო), საბაღჩე და საბოსტნე კულტურები (საზამთრო, ნეს-

ვი, გოგრა, კიტრი, წითელი ბადრიჯანი), ბოჭკოიანი (ბამბა, სელი, კანაფი, ხაოიანი მცენ.), სამკურნალო მცენარენი, ლუფა.

3 კლასი: ხილი, ხმილი, ყურძენი, თამბაქო, თუთა, სვია, ხილისა და ხმილის სანერგეების ნარგავები, ჩაისა და მანდარინის პლანტაციები.

**ს ა ტ ა რ ი ფ ო ც ხ რ ი ლ ი .**

სეტყვის საფრთხიანობის ზოლები	სეტყვამგრძობელობის კლასები		
	I	II	III
I . . . . .	1,3	2,4	3,5
II . . . . .	2,0	3,5	4,6
III . . . . .	2,4	4,6	5,5
IV . . . . .	3,1	5,5	6,6

დ ა ნ ა რ თ ი 3.

**ნორმები და ტარიფები შინაური პირუტყვების დაზღვევისათვის.**

	ნორმები მანეთო- ბით	სოფლად	ტარიფი პრო- ცენტობით ძალაქად
1. კამეჩი და ფურ-კამეჩი 2 <sup>1</sup> / <sub>2</sub> წლიდან და მეტი ხნისა (სულზე) . . . . .	50	4,5	4,5
2. ხარი, ძროხა 2 <sup>1</sup> / <sub>2</sub> წლიდან და მეტი ხნისა . . . . .	35	4,5	4,5
3. მოზარდი საქონელი 1 <sup>1</sup> / <sub>2</sub> წლიდან 2 <sup>1</sup> / <sub>2</sub> წ-დე . . . . .	15	4,5	4,5
4. ცხენი, ჯორი 2 <sup>1</sup> / <sub>2</sub> წლიდან 16 წლამდე . . . . .	50	6,8	7,0
5. ცხენი, ჯორი 16 წლიდან და მეტი-ხნისა . . . . .	25	6,8	7,0
6. აქლემი . . . . .	50	6,8	7,0
7. ვირი . . . . .	10	6,8	7,0

შენიშვნა. ცხენებისა, აქლემებისა და ვირების ტარიფი დაწესებულია 1-ლ დანართში (იხ. ზევით) აღნიშნული ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილებისათვის.

**დადგენილება № 163 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**159.** სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა აპარატის მუშაობისა და სტრუქტურის რაციონალიზაციის მიზნით წარდგენილი წინადადებებისათვის პრემიების მიცემის შესახებ.

სახელმწიფო, სამმართველო და საოპერატივო, კერძოდ სავაჭრო, აპარატის რაციონალიზაციის საქმისათვის წარმართული მშრომელთა ინიციატივის ყოველგვით წასახალისებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შემოღებულ იქნეს პრემიის მიცემა ცალკეულ მიღწევათათვის ამ სფეროში.

1. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საწარმოსა და დაწესებულებებში შემოღებულ იქნეს პრემიების მიცემა (პრემირება):

ა) სამმართველო და საოპერატივო, კერძოდ სავაჭრო, აპარატის სტრუქტურის გაუმჯობესებისა და გამარტივებისათვის;

ბ) მუშაობის თვისების წარმატებისათვის;

გ) შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის;

დ) უკეთეს რაციონალიზატორული ღონისძიებისა და წინადადების განხორციელება მოიცემა სამუშაო პროცესების გამარტივებას და საქმისწარმოების შემცირებას, რასაც მოჰყვება მუშა-ძალისა, ტექნიკური და სამეურნეო გაწყობილობისა და სხვადასხვა მასალის ეკონომია, მუშაობის ღირსების შეუმცირებლად ორივე შემთხვევაში;

ე) მუშაობაში საფრთხიანობისა და მავნებლობის აცილებისათვის.

**შენიშვნა 1.** დადგენილება ესე არა ვრცელდება ისეთ რაციონალიზატორულ წინადადებაზე, რაც წარმოებასა და ტრანსპორტს შეეხება; ასეთი წინადადებისათვის პრემია მიიცემა განსაკუთრებული წესით.

**შენიშვნა 2.** ხელმძღვანელი პერსონალის პირთა წინადადებას მიეცემა პრემია სხვა წინადადებების თანაბრად, ისეთი შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ხელმძღვანელი პერსონალის პირთა წინადადება შედის მისი პირდაპირი მოვალეობის ფარგალში.

**შენიშვნა 3.** დადგენილება ესე არა ვრცელდება, როგორც საერთო წესი, რაციონალიზაციის სფეროში მომუშავე პირზე ისეთი რაციონალიზატორული წინადადებისათვის, რასაც იგი შეიტანს მისთვის დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების წესით; ხოლო, გამოწინააღმდეგება ასეთ მომუშავესაც მიეცეს პრემია ცალკეული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წინადადებისათვის.

2. პრემირება შეფარდებულ უნდა იქნეს ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილი პროექტი რაციონალიზაციისა მიღებულია და, პრაქტიკული განხორციელებისა თუ გამოცდის შემდეგ, ამ პროექტმა იქონია გავლენა სამუშაო პროცესების გაუმჯობესებაზე და გამარტივებაზე ან მოიცა ეკონომია.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნულ წინადადებათათვის პრემია შეიძლება მიეცეს როგორც უწყებულ დაწესებულებასა თუ საწარმოში მომუშავე ცალკეულ პირს, ისე ასეთ პირთა ჯგუფებს, აგრეთვე ამ დაწესებულებისა თუ საწარმოსათვის გარეშე პირებს.

4. პრემირება შეიძლება როგორც ისეთ შემთხვევაში, როდესაც წარდგენილი წინადადების შედეგი პირდაპირ ფულადი ეკონომიაა, აგრეთვე ისეთ შემთხვევაშიაც, როდესაც წინადადების განხორციელების შედეგი არ შეიძლება ფულად გამოიხატოს.

5. პემირებისათვის 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ თვითეულ დაწესებულებასა და საწარმოში შეიქმნება ვასკუთრებულა ფონდი.

პრემირების ფონდი შესდგება:

ა) ამ მიზნით სათანადო დაწესებულებებისა და საწარმოს ხარჯთაღრიცხვით სააღმნიშვნელო-სამეურნეო ხარჯებისათვის გათვალისწინებული სახსარიდან განსაზღვრული თანხის გამოყოფით;

ბ) იმ ეკონომიით, რაც მიღებულ იქნება რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელების შედეგად,—ამ ეკონომიის ათიდან ვიდრე ოცამდე პროცენტის ფარგლებში.

6. პრემიების ფონდიდან ვაიცემა სახსარი როგორც გასამრჯელოს სახით რაციონალიზატორულ წინადადებათათვის, ისე იმ ხარჯების დასაფარავად, რაც საჭიროა რაციონალიზატორულ წინადადებათა დასამუშავებლად (მოძღვრების აგება, ნახაზების დამზადება და სხვ.)

7. საპრემიო გასამრჯელოს რაოდენობა თვითივე ცალკეული რაციონალიზატორული წინადადებისათვის განისაზღვრება ამ თუ იმ წინადადების სარგებლიანობის მიხედვით, კერძოდ—საგულვებელი ფულადი ეკონომიის რაოდენობისა, წინადადების გამოყენების სიმარტივისა და ავტორის მიერ წინადადების დამუშავებაზე გაწეული ხარჯების მიხედვით.

8. რაციონალიზატორულ წინადადებათა მისაღებლობის გამოსარკვევად, იმ ფულადი ეკონომიის რაოდენობის განსაზღვრავად, რაც საგულვებელია ამ წინადადებათა განხორციელების შედეგად, ან იმის განსაზღვრავად, თუ რამდენად სასარგებლოა ეს წინადადებანი, და ამ წინადადებათა ავტორებისათვის მისაცემ გასამრჯელოს გადასაწყვეტად—სათანადო სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში მოეწყობა საექსპერტო კომისია სამი პირის შედგენილობით:

- ა) ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
- ბ) ეკონომიური თუ საწარმოო თათბირის წარმომადგენელი;
- გ) პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. სექტემბერის 12. ტფილისი—სასახლე.

**დადგენილება № 160 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**160. სახელმწიფო, კოოპერატიულ და პროფესიონალურ დაწესებულებათა აპარატის შედგენილობის აღწესების შესახებ.**

რადგანაც სახელმწიფო, კოოპერატიულ და პროფესიონალურ დაწესებულებათა აპარატის შედგენილობის გამოკვლევას, რასაც ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო აწარმოებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:



1. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და პროფესიონალურ დაწესებულებას, რომელზედაც ზემოაღნიშნული გამოკვლევა ვრცელდება, გაუწიოს ყოველგვარი დახმარება სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს მათ მიერ წარმოებული აღნუსხვის საქმეში—მით, რომ ზედმიწევნით და თავის დროზე შეავსოს სააღნუსხვო ბლანკები (სიები) სსრკ-ის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ფორმით, რაც დამტკიცებულია სსრკ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ.

2. წინადადება მიეცეს ზემოაღნიშნულ დაწესებულებათ გამოჰყონ პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომლის გვარიც აცნობონ სახელმწიფო სტატისტიკის სათანადო ორგანოებს და რომელთანაც ეს ორგანოები შემდგომ იქონიებენ ურთიერთ მიმართვას აღნუსხვის საკითხების გამო.

3. დაწესებულებებმა სიების შედგენა უნდა დაამთავრონ 1929 წ. ოქტომბრის 1-თვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე დ. ჭუსეინოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. სექტემბრის 12. ტფილისი—სასაბლე.

გამთქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 221 №-ში 1929 წ. სექტემბრის 26-ს.

## დადგენილება ანიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 161. სახლის საბავშვო ბავათა მოწყობის შესახებ.

საბავშვო ბავათა მასიური გავრცელებისა, მუშა-ქალთა და ბავშვთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისა და საბავშვო ბავათა მოწყობისა და შენახვის საქმეში თვითმოქმედების სახით მუშებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ჩაბმისათვის—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საჭიროდ იქნეს ცნობილი, არსებული ტიპის საბავშვო ბავათა შემდგომ გაშლა-გაფართოებასთან ერთად, დაწყებულ იქნეს სამშენებლო-საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობათა სახლებთან, სახლ-კომუნებთან, მუშათა საერთო-საცხოვრებელ სახლებთან, ყაზარმებთან და მუშებით დასახლებულ ადგილებში გამარტივებული ტიპის საბავშვო ბავათა მოწყობა.

2. დაევალოს სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთ, აღმასრულებელ კომიტეტებსა და საბინაო-სამშენებლო კოოპერაციას, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული მუშათა ბინების აშენების დროს, გაითვალისწინონ საბავშვო ბავათათვის სპეციალური სადგომების გამოყოფა არსებული სასანიტარო-სატეხნიკო ნორმების მიხედვით.

3. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ყველა იმ მრავალბინიან სახლში, რომელიც უკვე ადგილობრივი საბჭოს, საბინაო-საიჯარო კოოპერაციისა და სამეურნეო დაწესებულების ექსპლოატაციაშია, აგრეთვე ყაზარმებსა და მუშებით დასახლებულ ადგილებში გამოყოფილ იქნეს სახლის საბავშვო ბავათათვის სათანადო სადგომები.

4. სახლის საბავშვო ბავათა შესანახი ხარჯი დაეკისროს ნაწილობრივად ადგილობრივ ბიუჯეტს და დაზღვეულთათვის გასაწევი სამკურნალო დახმარების ფონდს, რისთვისაც დაევალოს ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, დაწყებული 1929-30 საბიუჯეტო წლიდან, გაითვალისწინონ ხოლმე თავიანთ ბიუჯეტებში სპეციალური სახსარის გადადება სახლის საბავშვო ბავათა გაწყობისა და ამ ბავათა პერსონალის შესანახი ხარჯების ნაწილის დასაფარავად.

5. შესაძლებლად იქნეს ცნობილი საბავშვო ბავებში მოსათავსებელი ბავშვების მშობლების მონაწილეობა სახლის საბავშვო ბავათა შესანახ ხარჯებში და მიღებულ იქნეს ღონისძიება მათი თვითმოქმედების განვითარებისათვის საბავშვო ბავათა მოწყობისა და მუშაობის საქმეში (საბავშვო საბჭო, ხელისშემწყობი კომისია და სხვ.).

6. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა, საბინაო-სამშენებლო და საბინაო-საიჯარო კოოპერაციის სახლებში სახლის ბავათა მოწყობის დროს, ამ ბავათა მოსაწყობად და შესანახად საჭირო ხარჯებში მონაწილეობა მიიღოს სამომხმარებლო კოოპერაციამ სახსართა გაერთიანების პირობებზე—ამ ორივე სისტემის მიერ კოოპერირებულ მუშა-მოსახლეობისათვის მომსახურების გასაწევად.

7. საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა სახლებში სახლის საბავშვო ბავათა გაწყობისათვის საჭირო ხარჯები შეიძლება გაწეულ იქნეს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა საერთო შემოსავლის ანარიცხებიდან (ა/კფსრ ცენ. აღმ. კ-ტისა და სახ. კ-თა საბჭოს დადგენილება „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონის ძიებათა შესახებ“—ა/კფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-რი, მუხ. 252)

8. შესაძლებლად იქნეს ცნობილი 1-ლი და მე-3 მუხლებით გათვალისწინებულ სახლებში სახლის კოოპერატიულ ბავათა მოწყობა იმ საფუძველზე, რომ მაღალ-სასყიდლიანი მუშები და მოსამსახურეების შეილებისათვის დაწესებულ იქნეს ფასი თვითღირებულობის რაოდენობით. ასეთი ტიპის ბავებში ადგილების ერთი ნაწილი დატოვებულ უნდა იქნეს უფასოდ დაბალ-სასყიდლიან მუშა-ქალთა ჯგუფების შეილებისათვის; ამ მიზნით სახსარი უნდა გაიღონ სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, კოოპერაციამ, „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოებებმა, საბავშვო კომისიებმა, ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიებმა და სხვ., ხოლო ჯანმრთელობის ორგანიზებმა — დოტაციები.



9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს ორი კვირის ვადაზე, ა/კსფსრ შედგენილობაში შემაჯავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან და დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე ს. კახიანი.

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. სექტემბრის 16. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 222 №-ში 1929 წ. სექტემბრის 27-ს.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**162.** „შრომის ბაზრის მოწესრიგებისა, სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეებისა და სოფლისა და ტყის მეურნეობის სპეციალისტების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს დადგენილების მე-5 მუხლის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

„შრომის ბირჟის მოწესრიგებისა, სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეებისა და სოფლისა და ტყის მეურნეობის სპეციალისტების მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 25-ს დადგენილების მე-5 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-6 №-რი, მუხ. 55) დაემატოს პუნქტები „თ“ „ი“, „კ“, „ლ“ და „მ“ შემდეგი შინაარსისა:

„თ) მიეცეს სამუშაოზე ახლად მიწვეულ უბნების გამგეებსა და სპეციალისტებს დასაძვრისი ფულისა და გზის ფულის მიღების უფლება დამქირავებლის ხარჯით სამუშაო ადგილამდე წასვლისათვის“:

„ი) დაწესებულ იქნეს ჯამაგირის სამი პერიოდული მომატება თვითეული სამი წლის მუშაობისათვის ჯამაგირის „ოცი პროცენტის რაოდენობით.

შეღავათი ესე გავრცელებულ იქნეს სამედიცინო და სავეტერინარო დარგის მომუშავეებზე და აგრეთვე სოფლისა და ტყის მეურნეობის სპეციალისტებზე 1928 წ. აპრილის პირველიდან“;

„კ) უზრუნველყოფილ იქნენ ბინებით, გათბობით და განათებით და, უკეთეს მუშაობა დაკავშირებულია მიმოსვლასთან,—აგრეთვე მიმოსვლის საშუალებითაც, ხოლო, უკეთეს სადგომი ნატურად არ მიეცემათ, დაწესებულ იქნეს ძირითად ჯამაგირზე მომატება 10 პროცენტის რაოდენობით“;

„ლ) იმ პირობით, რომელნიც ისეთ სამუშაოზე არიან, რაც შემდგომ სამეცნიერო წარმატებას საჭიროებს, მიეცეთ, მხარეთა შეთანხმებით, თვითეული ხუთი წლის სამსახურის შემდეგ, სამეცნიერო წარვლინება ვადით 3-დან 7 თვემდე, ჯამაგირის შენარჩუნებით“;

„მ) მიღებულ იქნეს ღონისძიებანი კურსების მოსაწყობად იმ მომუშავეთა მიერ ეროვნული ენების შესწავლისათვის, ვისაც უჭირავს ან სურს დაიპიროს ისეთი თანამდებობა, რომელიც საჭიროებს ეროვნული ენის ცოდნას“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე ს. კასიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. სექტემბრის 16. ტფილისი-სასახლე.

**დადგენილება № 159 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**163. ა/კსფსრ-ში მუშათა ცენტრების სასურსათო პროდუქტებით მობარაგების ღონისძიებათა შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. წინადადება მიეცეს აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს.

ა) სასწრაფოდ შეუდგენენ იმ რაიონების გამორკვევის საკითხის შესწავლას, სადაც უფრო ხელსაყრელი პირობებია (ბუნებრივ-ისტორიული, სატრანსპორტო და სხვ.) სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებისათვის, რომლის პროდუქციასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მუშებისა და ქალაქის

მოსახლეობის სამომხმარებლო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად (მებაღეობა, მებოსტნეობა, მებალღეობა, სახორცეულო-საპროდუქტო და სამერძეულო მესაქონლეობა, მეფრინველეობა და მეთევზეობა).

სოფლის მეურნეობის ზემოაღნიშნული დარგების საქონლიანობის განვითარება უნდა ემყარებოდეს, უმთავრესად, დიდრონ საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, მარტივი საწარმოო შენაერთებისა, შეერთებულის ძალით დამუშავების ამხანაგობებისა და სხვ. მოწყობას. ხოლო ეს არ უნდა უარყოფდეს აგრეთვე იმ ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო საგლეხო მეურნეობების წახალისებას, რომელნიც სოფლის მეურნეობის ამ დარგებს მისდევენ;

ბ) რადგანაც ა/კსფსრ ქალაქები დიდად საჭიროებენ ზამთრისა და ზაფხულის ბოსტნეულობასა და ახალ რძეს, რაც უფრო ნაკლებ ტრანსპორტატბეული პროდუქტებია სოფლის მეურნეობაში,—საქალაქო აღმასრულებელ კომიტეტებთან, სასოფლო-სამეურნეო და მუშათა კოოპერაციასთან ერთად—ფართოდ უნდა გაშალონ მიმდინარე წლის შემოდგომიდან და 1930 წ. გაზაფხულიდან ქალაქებს ირგვლივ მდებარე რაიონებში ბოსტნეულ-მწვანილეული და მერძეული მეურნეობანი, რომლებმაც რაც შეიძლება მეტად უნდა უზრუნველყოთ აღნიშნული ქალაქების სამომხმარებლო საჭიროებანი; ეს უნდა მოხდეს იმ საფუძველზე, რომ მოეწყოს საბჭოთა მეურნეობები და კოლექტიური მეურნეობები, განხორციელდეს ქალაქების მიდამოებში მცხოვრები სოფლის მოსახლეობის ფართო წარმოებითი კოოპერირება და ამ მოსახლეობის მთელი მასივები მოიცვას საწარმოო-საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებმა;

გ) რადგანაც ქალაქები განიცდიან ხორცის კრიზისს, საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ,—ამიერკავკასიაში გარედან სახორცე საქონლის შემოზიდვისათვის გადამწყვეტ ღონისძიებათა მიღების გარდა,—დაუყოვნებლივ გამოარკვიონ ის რაიონები, სადაც სახორცე მესაქონლების განვითარებას აქვს უფრო დიდი შესანები, და სასწრაფოდ შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი ამ რაიონებში სამრეწველო მესაქონლეობის განვითარებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, რადგანაც შემჩნეულია, რომ მოზარდი საქონლის კვლას ონავრული ხასიათი აქვს, მოაწესრიგონ ასეთი კვლის საკითხი საკანონმდებლო აქტებით;

დ) გამოარკვიონ სასწრაფო წესით ის რაიონები, რომლებიც მაქსიმალურად ხელსაყრელნი არიან სამრეწველო ხილეული მებაღეობის განვითარებისათვის, და შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ მებაღეობის წახალისებისა და შემდგომი განვითარებისათვის; ამასთანავე, ხილეული მებაღეობის ამა თუ იმ რაიონის სპეციალიზაცია უნდა ემყარებოდეს ხილის სამრეწველო გადამუშავების ორგანიზაციას და მჭიდროდ იყოს მასთან დაკავშირებული.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებსა და სახელმწიფო საგემო კომისიებს—გამოარკვიონ სამრეწველო კარაქის-კეთებისა და ყველის-კეთების ფართო განვითარების რაიონები და სასწრაფოდ შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის ამ დარგების შემდგომი განვითარებისათვის; ამასთანავე, ყველისკეთების საქმეში აღე-

ბულ უნდა იქნეს გადამწყვეტი გეზი მასსიური, მუშათა სახმარებელი, იაფი ადგილობრივი ყველის მაქსიმალური წარმოების გაფართოებისა და განვითარებისათვის. რაც შეეხება შვეიცარული ყველის წარმოებას, რასაც უმთავრესად საექსპორტო მნიშვნელობა აქვს, თუმცა მისი წარმოების განვითარება უარყოფილ არ უნდა იქნეს, მაგრამ საჭიროა მოხდეს სტაბილიზაცია ამ წარმოებისა უკვე არსებულ ქარხნებში და ეს ქარხნები მაქსიმალურად დაიტვირთოს.

ამასთანავე ერთად, საქონლიანობითი ხასიათის კარაქის-კეთებისა და ყველის-კეთების განვითარების ფართო წახალისების მიზნით—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, იმის გარდა, რომ გააძლიეროს მერქეული მესაქონლეობის რაიონების პურიით, შაქრით და მანუფაქტურით მომარაგება,—საჭიროა აგრეთვე—გადაისინჯოს მის მიერ დაწესებული ყველისა და კარაქის ფასები იმ თვალსაზრისით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გლეხების მიერ რძის მაქსიმალური მიწოდება კარაქისა და ყველი ქარხნებისათვის.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა, ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს და ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს, კაპიტალური მშენებლობის განხორციელების დროს, მიაქციონ ყურადღება შენახვისა და გადამუშავების ტექნიკური ბაზისის გაფართოებას დამზადებათა რაიონებში. დაევალოს დამზადებელ და მომხმარებელ ორგანიზაციებს დროზე შეადგინონ სასოფლო-სამეურნეო წლისათვის დამზადებათა ოპერატიული გეგმები, რისთვისაც ეს ორგანიზაციები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო მშენებლობით.

4. რადგანაც უკიდურესი საჭიროებაა, რათა შეესებულ იქნეს ხორციული და თევზეული საქონლის საერთო ნაკლებობა, რამაც ამჟამად თავი იჩინა, და რადგანაც აზერბაიჯანის თევზის მრეწველობა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს დააკმაყოფილოს ამ მხრით ამიერკავკასიის მოთხოვნილება, აბარებს ადგილობრივ ორგანიზაციებს მეტისმეტად არასაკმარისს საქონელს,—წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყონ აზერბაიჯანის თევზის მრეწველობის მიერ სამომხმარებლო კოოპერაციისათვის თევზეული საქონლის მიწოდება.

ამასთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ღონისძიებანი როგორც თვით ამიერკავკასიის თევზეულ სიმდიდრეთა შესწავლისათვის, ისე ამ სიმდიდრეთა გამრავლებისათვის. ამ მიზნით წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—სასწრაფო წესით გამოარკვიონ და განსაზღვრონ ის ოპერატიული ორგანიზაციები, რომლებსაც, დამზადების ფუნქციებთან ერთად, უნდა დაეკისროს აგრეთვე ზემოდასახელებული საქმე—ამიერკავკასიის თევზეულ სიმდიდრეთა შესწავლა და მათი გამრავლებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღება.

კერძოდ, საჭიროა კონკრეტულად იქნეს აღძრული საკითხი:

ა) ზაქსის რაიონიდან მდინარე არაგვში თევზის დაუბრკოლებლად გადასვლის თაობაზე;

ბ) პალეოსტომის ტბაში თევზის მოშენებისა და ამავე მიზნით ამიერკავკასიის სხვა ტბების გამოყენების თაობაზე.

5. ზემოჩამოთვლილ ღონისძიებათა რეალური შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიენდოს დაინტერესებულ ორგანიზაციებს (სახელმწიფო და კოოპერატიულს), სოფლის მეურნეობის ზემოაღნიშნული ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმისა და მოსახრებების წარდგენასთან ერთად, წარადგინონ აგრეთვე დასაბუთებული საფინანსო გამაოანგარიშებანი და აღნიშნონ საამისოდ საჭირო მატერიალური სახსარი (სახელმწიფო-საბიუჯეტო, საბანკო, საკუთარი, მოსახლეობის მონაწილეობით საშოვნელი და სხვ.).

6. ამასთან ერთად წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციას, რათა მან გააძლიეროს თავისი მუშაობა სასურსათო პროდუქტების დამზადების სფეროში, რისთვისაც გამოჰკოს საკმარისი მატერიალური რესურსები, როგორც თავისი საკუთარი სახსარიდან, ისე საბანკო წყაროებიდან სამიზნო კრედიტების სახით. ამ მიზნით მიენდოს სახელმწიფო და სასოფლო-სამეურნეო ბანკებს გააძლიერონ კოოპერატიულ დამზადებათა მიზნობრივი დაკრედიტება ზემოაღნიშნული მიზნებისათვის.

7. ხილეულ-ბოსტნეული ბაზრის მოსაწყისრიგებლად და მუშებისა და ქალაქის მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) უფლება მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს აწარმოონ ქალაქისა და ქალაქის მიდამო ადგილების ბოსტნეულობის პროდუქციის კონტრაქტაცია; ამასთანავე, ეს კონტრაქტაცია არაკოოპერირებულ მებოსტნეთა მიმართ უნდა სწარმოებდეს უშუალოდ, ხოლო კოოპერირებულ მებოსტნეთა მიმართ—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სათანადო ადგილობრივი ორგანიზაციების მეშვეობით;

ბ) უფლება მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციას აწარმოოს ხილეულისა და ბოსტნეულის დამზადება უშუალოდ თავისი ქვედა ორგანიზაციების მეშვეობით, საექსპორტო რაიონებში ხილეულის დამზადების გამოკლებით;

გ) უფლება მიეცეს სამომხმარებლო კოოპერაციას აწარმოოს ხილეულისა და ბოსტნეულის დამზადება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყველა საფეხურის ერთეულთან უშუალოდ ხელშეკრულებების დადებით, ხოლო სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა საფეხურის ერთეულთან ხელშეკრულებების დადებით; ამასთანავე აღნიშნულმა კოოპერაციებმა არ უნდა მიმართონ გენერალური ხელშეკრულებებისა და გენერალური შეთანხმებების სისტემას.

8. მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაამყაროს, თავისი რწმუნებულების მეშვეობით, გაძლიერებული მეთვალყურეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ყიდვა-მიწოდების თაობაზე დადებულ ხელშეკრულებათა შესრულებისათვის; თანაც იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელთ, რომელთაც აქვთ დადებული დამზადებისა და ჩაბარების ხელშეკრულებები, დააკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა. ამასთან ერთად დაეკისროს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული დადგენილებების შესრულებისათვის.

9. რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქალაქის მიდამოების მებოსტნეობის სფეროში ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა რაც შეიძლება სრული განხორციელება:

ა) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუმცირონ საიჯარო სასყიდელი იმ ინდივიდუალურ მებოსტნეებს (ღარიბებსა და საშუალებებს), რომელთაც იჯარით აქვთ აღებული ქალაქის მიდამოებში მდებარე მიწები; უკეთუ მებოსტნეები გასტეხენ ახალ მიწებს, დაუწესონ მათ შემცირებული საიჯარო განაკვეთები (არა უმეტეს ძირითადი განაკვეთების 25—30%/ო); ხოლო საჭირო შემთხვევაში შესაძლებლად სცნონ პირველი ერთი წლით მათი სრულიად განთავისუფლება საიჯარო სასყიდლისაგან;

ბ) დაწესებულ იქნეს განსაკუთრებული შეღავათები საბოსტნე მიწების იმ საიჯარო სასყიდლისათვის, რასაც იხდიან კოოპერატიული ორგანიზაციები და ის ინდივიდუალური მებოსტნეები, რომელნიც იკისრებენ თავიანთი პროდუქცია ჩააბარონ მტკიცე ხელშეკრულების მიხედვით მარტოოდენ კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს;

გ) გაგრძელებულ იქნეს იჯარის ვადები და მიღებულ იქნეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რაც ხელსაყრელია კოლექტიურ საბოსტნე მეურნეობათა მოწყობისათვის.

10. იმ მიზნით, რათა თვალყური ედევნოს ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებას და თავიდან აცილებულ იქნეს ყველა ის დაბრკოლება, რამაც შეიძლება შეაფერხოს ამიერკავკასიის სამუშე ცენტრებისათვის სასურსათო პროდუქტების მისაწოდებლად წარმოებული მუშაობა,—მოეწყოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან მუშათა მომარაგების კომისიები.

11. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ აუცილებელია პირველ წლებში მთელი ყურადღების კონცენტრაცია შეზღუდული რაოდენობის მომარაგების პუნქტებზე; ეს იმიტომ, რათა ძალებისა და სახსარის დაუქუტმაცებლად მიღებულ იქნეს რაც შეიძლება დიდი ეფექტი მუშაობაში.

12. რადგანაც ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებელი პირობა კოოპერაციის ძირითადი ხელმძღვანელი და ტექნიკური კადრების ფართო პროფესიონალურ-ტექნიკური მომზადებაა და ხელახალი მომზადება, საჭიროდ იქნეს ცნობილი—წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ:

ა) განათლების სახალხო კომისარიატებს—შეიმუშაონ, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან ერთად, საკითხი პროფესიონალურ-ტექნიკური და სპეციალური სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკული განათლების ფართოდ დაყენების შესახებ—სპეციალური პრაქტიკული მომუშავეების მოსამზადებლად მეხილეობა-მებოსტნეობისა, მებაღეობისა, რძე-კარაქისკეთებისა და ყველისკეთების საქმისათვის და მიიღონ საამისოდ პრაქტიკული ხასიათის კონკრეტული ღონისძიებანი;



ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს—სასწრაფოდ შეუდგნენ მოკლევადიანი კურსების მოწყობას სოფლის მეურნეობის ზემოაღნიშნულ დარგებში კოოპერატიული კადრების ხელახალი სპეციალური პროფესიონალურ-ტექნიკური მომზადებისათვის და სისტემატიურად განახორციელონ ეს საქმე. ამასთან დაკავშირებით მიიღონ აგრეთვე გადამწყვეტი ღონისძიებანი იაფფასიანი პოპულიარული ლიტერატურის გამოსაცემად ადგილობრივ ენებზე მებოსტნეობისა, მებალეობისა, რძე-ქარაქისკეთებისა, ყველისკეთებისა და სხვა ამგვარი საკითხების გამო;

გ) ამის გარდა, გაითვალისწინონ მომავალი წლის ბიუჯეტში ამერიკასა (კალიფორნია) და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში (დანია, გერმანია და სხვ.) პრაქტიკულ მომუშავეთა სათანადო კადრის გაზზავნა ამ ქვეყნების გამოცდილებისა და მიღწევათა შესწავლისა და შეთვისებისათვის სოფლის მეურნეობის ზემოდ ჩამოთვლილი დარგების ტექნიკის სფეროში. ამასთან დაკავშირებით აღძრულ იქნეს საკითხი ა/კსფსრ-ში აღნიშნულ ქვეყნებიდან სათანადო სპეციალისტების მოწვევის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. სექტემბრის 16. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 216 №-ში 1929 წ. სექტემბრის 20-ს.

## განმარტება № 2 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

**164.** ამიერკავკასიის რკინის გზებზე მომხდარი შემთხვევებისა და კატასტროფების საქმეებისათვის შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეუფარდებლობის შესახებ.

„შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეცვლის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ს დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-რი, მუხ. 132) ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 14-ს დადგენილება—ამიერ-

კავკასიის რკინის გზებზე სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ივნისის 20-ს დადგენილების გავრცელების შესახებ (ა/კსტსრ შრომის კანონთა კოდექსი 1929 წლისა, გვ. 219), რომელი დადგენილებითაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას ჩამორთმეული აქვს კატასტროფებში დამნაშავედ ცნობილ აგენტების დამნაშაობის ხარისხის განსაზღვრა და მათთვის გადასახდელის დადება, — ძალაში რჩება და საქმეები ამიერკავკასიის გზებზე მომხდარი შემთხვევებისა და კატასტროფების შესახებ არ შეიძლება გარჩეულ იქნეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. 1-ლი შენიშვნის წესით.

ა/კსტსრ შრომის სახალხო კომისარი იაშვილი.

ა/კსტსრ შრომის სახალხო კომისარიატის

საორგან.-უფლებ. განყოფ. გამგე მელნიკოვი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 213 №-ში 1929 წ. სექტემბრის 17-ს.

## დადგენილება № 88 ა/კსტსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

**165.** შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასასვლელად დანიშნულ საწარმოთა და დაწესებულებათა უზრუნველსაყოფად მუშა-ძალის კვალიფიციური კადრების მომზადებისა და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან სათანადო საუწყებო კომისიების მოწყობის შესახებ.

ა/კსტსრ საწარმოთა და დაწესებულებათა შეუწყვეტელ წარმოებაზე წინამდებარე გადასვლა აყენებს შრომის ორგანოებისა, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების წინაშე მეტისმეტად პასუხსაგებ ამოცანას — შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლის უზრუნველყოფას მომზადებული მუშა-ძალის კადრებით.

რათა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასასვლელ საწარმოთა და დაწესებულებათა უზრუნველსაყოფად მუშა-ძალის კვალიფიციური კადრები მომზადებულ იქნეს თავის დროზე და რაც შეიძლება სრულად, ა/კსტსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მოეწყოს ა/კსტსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან, შრომის სახალხო კომისრის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით, საუწყებო კომისიები იმ საკითხების შესამუშავებლად, რაც დაკავშირებულია შეუწყვეტელ წარმოებაზე საწარმოთა და დაწესებულებათა განზრახულ გადასვლასთან.

2. ყველა ტრესტმა და სახელმწიფო ცენტრიანი მრეწველობის ყველა საწარმომ, ყველა სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიულმა დაწესებულებამ და



ყველა უწყებამ უნდა წარადგინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატში ან მის ადგილობრივ შრომის ორგანოებში, ორი კვირის ვადაზე, იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სია, რომელნიც 1929-30 წელს დანიშნულ არიან შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასასვლელად (თუნდაც ორიენტირულად); ამასთანავე, შრომის განყოფილებაში სიის წარდგენასთან ერთად, ამ სიის ასლს საწარმო თუ უწყება უგზავნის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატს.

სიაში აღნიშნულ უნდა იქნეს გადასაცემი ერთეულის სრული მისამართი და გადაყვანისათვის დანიშნული ვადა, იმ ახალი მუშა-ძალის (კერძოდ სპეციალისტების) ცვლადობისა, რიცხვისა და კვალიფიციური შედგენილობის გრაფიკი, რაც საჭიროა შეუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, და ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საგულეგებელი წყაროები.

აღნიშნულ ვადაზე წარდგენილ საორიენტირო სიში შეტანილი ყოველგვარი დამატება თუ ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სათანადო შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ შრომის განყოფილებას—კუთვნილებისამებრ.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ცნობები უნდა წარმოადგინონ ჯუშმოლობრივ ორი კვირის ვადაზე ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი იაშვილი.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კ-ტის საორგანიზაციო-  
უფლებრივი განყ. გამგე მელნიკოვი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 217 №-ში 1929 წ. სექტემბრის 21-ს.

**დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**166. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. სექტემბრის 27. ტფილისი---სასახლე.

**დებულება ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.**

კ ა რ ი I.

**ზოგადი დებულებანი.**

1. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენილობაში შედის სახელმწიფო საერთო-ფედერატიული ბიუჯეტი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების (აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის) სახელმწიფო ბიუჯეტები.

სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ბიუჯეტებში შეტანილია მათ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახელმწიფო ბიუჯეტები.

2. საერთო-საკავშირო კანონმდებლობის შესაბამისად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით, გამოსცემს საერთო კანონდებულებებს, რაც მოაწესრიგებს ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენას, განხილვას, დამტკიცებას და აღსრულებას.

3. საერთო საკავშირო და საერთო-ფედერატიული კანონმდებლობის შესაბამისად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენით, გამოსცემენ კანონდებულებებს, რაც მოაწესრიგებს უწყებულო რესპუბლიკისა და აგრეთვე მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ბიუჯეტების შედგენას, განხილვას, დამტკიცებას და აღსრულებას.

4. აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ბიუჯეტები, ამ რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დამტკიცების შემდეგ, გაიგზავნება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და, მისი მინდობილობით, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამ ბიუჯეტებს

და საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის პროექტს გააერთიანებს ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტად, რაც შეიცავს ა/კსფსრ ყველა შემოსავალ-გასავლის საერთო საბალანსო ჯუშოს.

ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს განიხილავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და, დადასტურების შემდეგ, იგი შეიტანება დასამტკიცებლად ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში.

ამასთან ერთად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო მის მიერ დადასტურებულ ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს დაუგზავნის დასკვნისათვის აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს.

5. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტს სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენებით და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის დასკვნით; ამასთანავე, ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენილობაში შემავალი საერთო-ფედერატიული ბიუჯეტი და აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ბიუჯეტები დამტკიცდება ერთიანი საკანონმდებლო აქტით.

საერთო ფედერატიულ ბიუჯეტს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს შემოსავლის აღრიცხვის პარაგრაფობით და გასავლის აღრიცხვის თავობით და პარაგრაფობით.

აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ბიუჯეტებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს თვითიული რესპუბლიკის შემოსავალ-გასავლის საბალანსო ჯუშობით. საბალანსო ჯუშოების ნომენკლატურა დაწესდება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტები დაბალანსებულ უნდა იქნეს უდფეციტოდ, ხარჯების ამ რესპუბლიკებისავე შემოსავლის წყაროებით დაფარვის საფუძველზე (ამა დებულების მე-17 მუხ.)

**შენიშვნა.** უკეთუ გამოირკვა, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის აუცილებლად საჭირო ხარჯის დაფარვა შეუძლებელია ამა დებულების მე-17 მუხლში აღნიშნული საშემოსავლო წყაროებით, ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების წესისამებრ, განისაზღვრება განსაკუთრებული ასიგნება საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის ხარჯზე რესპუბლიკის უწყებულ წლის დეფიციტის დასაფარავად.

7. უკეთუ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა/კსფსრ ბიუჯეტს დაამტკიცებს ცვლილებით, ამ ცვლილებებს საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებში გაატარებს და ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტს ხელახლა შეადგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და დაამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საბიუჯეტო კომისიის დასკვნით: საერთო-ფედერატიულს—შემოსავლის აღრიცხვის პარაგრაფობით და გასავლის აღრიც-

ხვის თავობით და პარაგრაფობით, ხოლო რესპუბლიკების ბიუჯეტებს—თვითეული რესპუბლიკის შემოსავალ-გასავლის საბალანსო ჯუმლობით.

8. უკეთუ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების დამტკიცების შემდეგ,—სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძველზე, საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში, სამოქმედოდ შემოღებულ იქნება ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოების ისეთი დადგენილება, რომლითაც შემცირდება რაიმე შემოსავალი ან გადიდდება რაიმე ხარჯი, რაც აღრიცხულია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკის დამტკიცებულ ბიუჯეტში,—ეს დადგენილება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დამატებითი საშემოსავლო წყაროთი—შემცირებული შემოსავლის ასანაზღაურებლად ან გადიდებული ხარჯის დასაფარავად.

9. უკეთუ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების დამტკიცებული ბიუჯეტებით აღრიცხული შემოსავალი სრულად არ შემოვა, ამ ბიუჯეტების აღსრულების დროს მოსალოდნელი დეფიციტი დაიფარება ხარჯების სათანადო შემცირებით ან ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადასინჯვით და შეძლებისამებრ საშემოსავლო დანიშნულებათა გადიდებით, თანახმად განსაკუთრებული დადგენილებებისა, რასაც დაამტკიცებენ ამ რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები სახალხო კომისართა საბჭოების მოხსენებით და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საბიუჯეტო კომისიების დასკვნით.

ასეთივე წესით დაიფარება საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის შესრულების დროს გამოაშკარავებული დეფიციტი, თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილებისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენებით და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის დასკვნით.

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით მიღებული ზედმეტი შომოსავალი, რაც ხარჯთაღრიცხვით ნაგულვებს აღემატება, შეიძლება დახარჯულ იქნეს ამა დებულებით განსაზღვრული საერთო წესისამებრ შედგენილი და დამტკიცებული დამატებითი ბიუჯეტის მიხედვით.

აღნიშნული დამატებითი ბიუჯეტის შედგენა შეიძლება იმ შემთხვევაში, უკეთუ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის წინასწარი ანგარიშგების ცნობებით საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარწლის განმავლობაში გამოირკვევა, რომ ამ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის აღსრულება უზრუნველყოფს ამა თუ იმ მუხლით ნაკლებადებული შემოსავლის ანაზღაურებას და თანაც ხარჯთაღრიცხვით ნაგულვები შემოსავლის ნამდვილად გადამეტებას.

ამავე წესით შეიძლება დაიხარჯოს ა/კსფსრ საერთო-ფედერატიული ბიუჯეტით ნაგულვებ შემოსავალზე გადამეტებით მიღებული შემოსავალი.

**შენიშვნა.** ამა დებულების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ საკითხს—საერთო-ფედერატიული ბიუჯეტით და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით ნაგულვებ შემოსავალზე გადამეტე-

ბით მიღებული შემოსავლის გამო—განიხილავს ყოველთვის ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო როგორც ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა, ისე ა/კფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის (მთლიანად) აღსრულებასთან დაკავშირებით და ანგარიშში მიიღებს ინტერესებს თვითეული იმ რესპუბლიკისას, რომელსაც აქვს შემოსავლის გადანამეტი.

11. უკეთეს საერთო-ფედერატიული ბიუჯეტისა და რესპუბლიკების ბიუჯეტების აღსრულების ანგარიშებით, რაც დადასტურებულია ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ, გამოირკვა, რომ ამ ბიუჯეტებს აქვთ თავისუფალი ნაშთები, ეს ნაშთები გადაიტანება, შესაბამისად, უახლოესი წლის საერთო ფედერატიულ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ან ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში.

12. სსრკ-ის განსაკუთრებული ჯუმლობითი ფულადი რეზერვი ა/კფსრ სახელმწიფო ბიუჯეტით იხარჯება სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დადგენილებით განსაზღვრული წესისამებრ.

13. ა/კფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულება განხორციელდება განსაკუთრებული საერთო-საკავშირო და საერთო-ფედერატიული კანონების საფუძველზე; ამასთანავე, საერთო-ფედერატიული ბიუჯეტისა და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი თვითეული რესპუბლიკის ბიუჯეტის სახელმწიფო შემოსავლ-გასავალი განცალკევებულად აღინუსხება ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების (კუთვნილებისამებრ) ცენტრალიზებულ მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებშია ა/კფსრ ტერიტორიაზე. თვითეული ზემოაღნიშნული ბიუჯეტით ხარჯები გაიღება იმ ნაღდი ფულის ფარგალში, რაც სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალიზებულ მიმდინარე ანგარიშზე ირიცხება.

საერთო-ფედერატიული ბიუჯეტისა და რესპუბლიკანური ბიუჯეტების აღსრულების დროს მომხდარი დროებითი საკასო დეფიციტების დაფარვის წესი განისაზღვრება ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

## კ ა ბ ი II.

**საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტში და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებში გასატარებელი შემოსავალ-გასავალი.**

14. საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში შეიტანება:

1) ყველა სახელმწიფო ხარჯი, რაც აღირიცხება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ა/კფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, შრომის სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, ცენტრალური სტატისტიკური

სამმართველოს, ამიერკავკასიის რკინის გზებზე ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საფინანსო ხარჯთაღრიცხვებით;

2) ხარჯები: ა) საერთო ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის მრეწველობის დაფინანსებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილი საწარმოთა სიის მიხედვით; ბ) საერთო-ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის ელექტროფიკაციის დაფინანსებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილი საწარმოთა სიის მიხედვით; გ) ვაჭრობის განვითარების სფეროში საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის ღონისძიებათა დაფინანსებისათვის; დ) საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის კოოპერაციის დაფინანსებისათვის; ე) საერთო-ფედერატიული და რესპუბლიკანური მნიშვნელობის ირივაციის დაფინანსებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილი საშუალოთა სიის მიხედვით; ვ) საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის სასფლო-სამეურნეო ხასიათის ღონისძიებათა დაფინანსებისათვის და აგრეთვე იმ ღონისძიებათა დაფინანსებისათვის, რომელთა დაფინანსების აუცილებლობასაც საერთო-ფედერატიული ბიუჯეტით საჭიროდ ცნობს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო; ზ) უმუშევრობასთან ბრძოლის ღონისძიებათა დაფინანსებისათვის; თ) ბეჭდვითი საქმის დაფინანსებისათვის და ი) სხვა ხარჯები ა/კსფსრ სახალხო მეურნეობისა და იმ ღონისძიებათა დაფინანსებისათვის, რასაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ცნობს საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის მქონე ღონისძიებად;

3) გადასახდელი როგორც საერთო-ფედერატიულ, ისე საერთო-საკავშირო სესხთათვის (უკეთუ დაწესებული იქნება ამ სესხთა ანარიცხები ა/კსფსრ შემოსავალში);

4) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდი.

**შენიშვნა.** ამა დებულების მე-6 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში შეიტანება ის ასიგნებები, რაც საჭიროა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების დეფიციტების დასაფარავად.

15. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების საგასავლო ნაწილში შეიტანება:

1) ყველა სახელმწიფო ხარჯი, რაც აღირიცხება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, სახალხო კომისართა საბჭოებისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიებისა და შინაგან საქმეთა, იუსტიციისა, განათლებისა, ჯანმრთელობისა, მიწათმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების საფისანსო ხარჯთაღრიცხვებით;

2) ხარჯები: ა) რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის დაფინანსებისათვის საწარმოთა იმ სიის მიხედვით, რასაც დაადგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენისამებრ; ბ) რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტროფიკაციის დაფინანსებისათვის საწარ-

მოთა იმ სიის მიხედვით, რასაც დაადგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო— ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენისამებრ; გ) ვაჭრობის განვითარების სფეროში რესპუბლიკანური მნიშვნელობის ღონისძიებათა დაფინანსებისათვის; დ) კომუნალური მეურნეობისა და ბინათმშენებლობის დაფინანსებისათვის საერთო-საკავშირო ბიუჯეტით გადადებული სახსარის დამატებად; ე) კოოპერაციის დაფინანსებისათვის; ვ) რესპუბლიკანური მნიშვნელობის ირიგაციის დაფინანსებისათვის სამუშაოთა იმ სიის მიხედვით, რასაც დაადგენს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო— ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების წარდგენისამებრ; ზ) სოფლის მეურნეობის დაფინანსებისათვის, იმ ღონისძიებათა გამოკლებით, რაც, მე-14 მუხლის მე-2 პუნ. „ვ“ ლიტერის თანახმად, მიკუთვნებულია საერთო-ფედერატიული ბიუჯეტისათვის; თ) რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზათმშენებლობის დაფინანსებისათვის; ი) საკურორტო მშენებლობის დაფინანსებისათვის; კ) სხვა სარჯები რესპუბლიკანური მეურნეობისა და იმ ღონისძიებათა დაფინანსებისათვის, რასაც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო სცნობს რესპუბლიკანური მნიშვნელობის მქონე ღონისძიებად და ლ) ადგილობრივი ბიუჯეტების მოწესრიგების ფონდები;

3) გადასახდელი რესპუბლიკანურ სესხათვის, აგრეთვე გადასახდელი საერთო-ფედერატიულ და საერთო-საკავშირო სესხათვის, უკეთუ დაწესებული იქნება ამ უკანაქველ სესხთა ანარიცხები რესპუბლიკების შემოსავალში;

4) საერთო-სახელმწიფოებრივი შემოსავლის ანარიცხები ადგილობრივი ბიუჯეტებში ადგილობრივი ფინანსების დებულების თანახმად;

5) სასუბვენციო ფონდები;

6) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების სარეზერვო ფონდები.

16. საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში შეიტანება:

1) საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისა, გამოსაღებებისა და ბაჟების ყველა შემოსავალი, რაც, სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-16 მუხლის თანახმად, მიკუთვნებულია ა/კსფსრ ბიუჯეტისათვის, იმ შემოსავლის გამოკლებით, რომელიც, ამა დებულების მე-17 მუხ. თანახმად, მოქცეულია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების შესაქმნელად;

2) ყველა ქვემოაღნიშნული არასავადასახადო შემოსავალი სათანადო მომქმედი სპეციალური კანონების მიხედვით:

ა) წიაღთა შემოსავალი, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის წიაღთა გამოკლებით;

ბ) როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ, ისე კომერციული ანგარიშის პრინციპებზე მომქმედ, საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის სამრეწველო, სავაჭრო, საკრედიტო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოთა შემოსავალი, მათ შორის სახელმწიფო ორგანოთა და იმ საწარმოთა შემოსავალი, რომელნიც საგარეო ვაჭრობას აწარმოებენ.

**შენიშვნა.** საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის საწარმო, ამა პუნქტის აზრის მიხედვით, ითვლება ისეთი საწარმო, რომლის მმართველობაც გაერთიანებულია ამიერკავკასიის მასშტაბით.

გ) ორმოცდაათი პროცენტი იმ საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთა მოგების სახაზინო შემოსავლად გადასარიცხი ნაწილისა, რომელ საწარმოთა მართვა-გამგებლობის უფლებანი, სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების მე-16 მუხლის თანახმად, ნაწილობრივ გადაცემული აქვთ საერთო-ფედერატიულ ორგანოებს;

დ) საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფი ორგანოების სააქციო საზოგადოებებში (საპაიო ამხანაგობებში) მონაწილეობით მისაღები შემოსავალი;

ე) ორმოცდაათი პროცენტი საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კონცენსიების შემოსავლისა და ორმოცდაათი პროცენტი საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის კონცენსიების შემოსავლისა;

ვ) საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტში შეტანილი კრედიტებიდან გაცემული სესხის დაბრუნებით მისაღები შემოსავალი და აგრეთვე—საერთო-საკავშირო სახსარიდან საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთათვის და ორგანიზაციათათვის მიცემული სესხის დაბრუნებით მისაღები შემოსავალი.

**შენიშვნა,** კოოპერატიული ორგანიზაციების მერ დაბრუნებული სესხის შემოსავალი საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტში შეიტანება იმ შემთხვევაში, უკეთეს სესხს აბრუნებენ საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის ორგანიზაციები.

ზ) სსრკ-ის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 1-ლი მუხ. „ე“ ლიტერის წესისამებრ ნებადართულ ა/კფსრ სახელმწიფო სესხთა რეალიზაციით მისაღები შემოსავალი და საერთო-საკავშირო სახელმწიფო სესხთა ანარიცხები—სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილებებით გათვალისწინებულ შემთხვევაში და რაოდენობით;

თ) საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ მათი საგამგებლო ქონების რეალიზაციით მისაღები შემოსავალი;

ი) საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფი ორგანოების მიერ დადებული ჯარიმებით მისაღები შემოსავალი, იმ ჯარიმების გარდა, რასაც დაადებენ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოები სააქციო წესების დარღვევისათვის; აგრეთვე საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფი ორგანოების დადგენილებით კონფისცირებული ქონების რეალიზაციით მისაღები შემოსავალი;

კ) საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფი ორგანოების მიერ სხვა დაწესებულებათა, საწარმოთა და პირთა ანგარიშით გაწეული ხარჯების დაბრუნებით მისაღები შემოსავალი;

ლ) რესურსების თავისუფალი ნაშთი, რაც გამორკვეულია საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის აღსრულების დამტკიცებული ანგარიშით (მუხ. 11);

მ) საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა სხვა არასავადასახადო შემოსავალი, ამა დებულების მე-17 მუხლით გათვალისწინებული შემოსავლის გამოკლებით.



**შენიშვნა.** სსრ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-6 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში შეიტანება ა/კსფსრ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად საერთო-საკავშირო სახსარიდან დანიშნული თანხები.

17. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილში შეიტანება:

1) შემდეგი საგადასახადო შემოსავალი:

ა) უწყებულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მთლად შემოსასვლელი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი;

ბ) უწყებულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მთლად შემოსასვლელი სახელმწიფო სარეწაო გადასახადის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი;

გ) უწყებულ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მთლად შემოსასვლელი სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი;

დ) სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-16 მუხ. თანახმად, სსრკ-ში შემოსული საღებო გამოსაღების საერთო თანხიდან ა/კსფსრ-თვის მიკუთვნებული საღებო გამოსაღების თანხის ანარიცხები—ისეთი რაოდენობით, რასაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი თვითული რესპუბლიკისთვის დააწესებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენისამებრ, ყოველწლივ, არა უგვიანეს ორი თვისა საბიუჯეტო წლის დაწყებამდე;

ე) მემკვიდრეობისა და გაჩუქების წესით გადასული ქონების გადასახადი;

ვ) სასამართლო ბაჟი და გამოსაღები, აგრეთვე ის გამოსაღები სანოტარო მოქმედებისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკური მომსახურებისთვის, რასაც ახდევინებენ რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებანი;

ზ) გამოსაღები, რასაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოები ახდევინებენ საერთო-სამოქალაქო საუცხოეთო პასპორტისა, სსრკ-ში შემოსასვლელი და სსრკ-დან გასასვლელი ვიზისა და უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის გაცემისათვის;

თ) სასინჯო გამოსაღები;

ი) ოთხმოცდათი პროცენტი იმ გამოსაღებისა, რასაც რესპუბლიკის შემომწმებელი დაწესებულებანი ახდევინებენ საზომ-საწონთა და სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოთა შემოწმებისა და დადალისათვის;

კ) ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რესპუბლიკანური ორგანოების რეგისტრაციაში გასატარებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირთა სავაჭრო რეგისტრაციის გამოსაღები;

ლ) ბირჟაზე და ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა სახელმწიფო გამოსაღები;

მ) სამონადირეო გამოსაღები;

ნ) ყველა სხვა გადასახადი, გამოსაღები და ბაჟი, რასაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკები აწესებენ სსრკ-ის ძირითადი კანონის (კონ-

სტიტუციის) 1-ლი მუხლის „ლ“ პუნქტისა და ა/კფსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 1-ლი მუხლის „ე“ პუნქტის წესისამებრ.

2) შემდეგი არასავადასახადო შემოსავალი:

ა) რესპუბლიკანური მნიშვნელობის წიაღთა შემოსავალი;

ბ) ტყის შემოსავალი;

გ) რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო საადგილმამულო ქონების ექსპლოატაციით მისაღები შემოსავალი;

დ) რესპუბლიკანური მნიშვნელობის თევზსარეწო და მხეცთასახოცი სანახების იჯარად გაცემით მისაღები შემოსავალი;

ე) როგორც სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ, ისე კომერციული ანგარიშის პრინციპებზე მოქმედ რესპუბლიკანური მნიშვნელობის სამრეწველო, სავაჭრო, საკრედიტო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოთა შემოსავალი, კერძოდ—რესპუბლიკის სახელმწიფო ვაჭრობისა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის კურორტების შემოსავალი;

ვ) ორმოცდაათი პროცენტი როგორც იმ საერთო-საკავშირო, ისე საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთა წმინდა მოგების სახაზინო შემოსავლად გადასარიცხი ნაწილისა, რომელ საწარმოთა მართვა-გამგებლობის უფლებანი, სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების მე-16 მუხლის თანახმად, ნაწილობრივ გადაცემული აქვთ ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ორგანოებს;

ზ) რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფი ორგანოების სააქციო საზოგადოებებში (სპაიო ამხანაგობებში) მონაწილეობით მისაღები შემოსავალი;

თ) რესპუბლიკანური ორგანოების მიერ უწყებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქონებული ყველა სახელმწიფო მატერიალური ფონდების რეალიზაციით მისაღები შემოსავალი, ადგილობრივი მნიშვნელობის ფონდების გარდა;

ი) სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ მათი სავამებლო ქონების რეალიზაციით მისაღები შემოსავალი;

კ) საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის კონცენსიების შემოსავლის ორმოცდაათი პროცენტი და რესპუბლიკანური მნიშვნელობის კონცენსიების შემოსავალი;

ლ) ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებში შეტანილი კრედიტებიდან გაცემულ სესხთა დაბრუნებით მისაღები შემოსავალი და აგრეთვე ყველა სათესლე და სასურსათო სესხის დაბრუნებით მისაღები შემოსავალი;

მ) რესპუბლიკანური მნიშვნელობის კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ დაბრუნებულ სესხთა შემოსავალი;

ნ) სსრკ-ის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 1-ლი მუხლის „ე“ პუნქტის წესისამებრ რესპუბლიკებისათვის ნებადართული ამ რესპუბლიკების სახელმწიფო სესხთა რეალიზაციით მისაღები შემოსავალი;

ო) საერთო-საკავშირო და საერთო-ფედერატიულ სესხთა ანარიცხები ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში და რაოდენობით;



პ) რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფი ორგანოების მიერ დადებული ჯარიმებით მისაღები შემოსავალი და აგრეთვე ამ ორგანოების დადგენილებებით კონფისცირებული ქონების რეალიზაციით მისაღები შემოსავალი;

ჟ) რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფი ორგანოების მიერ სხვა დაწესებულებათა, საწარმოთა და პირთა ანგარიშით გაწეული ხარჯების დაბრუნებით მისაღები შემოსავალი;

რ) ბეთალმანი და უპატრონო ქონების სახელმწიფო საკუთრებად მიქცევით მისაღები შემოსავალი;

ს) რესურსების თავისუფალი ნაშთი, რაც გამორკვეულია რესპუბლიკის ბიუჯეტის აღსრულების დამტკიცებული ანგარიშით (მუხ. 11).

ტ) რესპუბლიკის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა სხვა არასავადადსახადო შემოსავალი.

**შენიშვნა.** ამა დებულების მე-6 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულ შემთხვევებში რესპუბლიკის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში შეიტანება უწყებელი რესპუბლიკის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარვად საერთო-ფედერატიული სახსარიდან დანიშნული თანხები.

### კ ა რ ი III.

#### ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის წესი.

18. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის დასამტკიცებლად ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენის ვადას განსაზღვრავს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ისეთი ვარაუდით, რომ ბიუჯეტი სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოში წარდგენილ იქნეს ამ უკანასკნელის მიერ, სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-18 მუხლის თანახმად, დაწესებულ ვადაზე. აღნიშნულ ვადასთან შეფარდებით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო განსაზღვრავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ბიუჯეტების წარდგენის ვადებს, აგრეთვე ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენის ვადას.

19. ხარჯთაღრიცხვების განსახილველად და საერთო-ფედერატიული ბიუჯეტისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების პროექტებში შესატან სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებათა ციფრების განსაზღვრავად—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან—კუთვნილებისამებრ—მოეწყობა სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირები.

20. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირი შესდგება: ფინანსთა სახალხო კომისარიატის საში წარმომადგენლისაგან (მათ შორის თათბირის თავმჯდომარე), ა/კსფსრ მუ-

შათა და გლენტა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ერთი წარმომადგენლისაგან, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ერთი წარმომადგენლისაგან, იმ უწყების ერთი წარმომადგენლისაგან, რომლის ხარჯთაღრიცხვაც იხილვება, და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის ერთი წარმომადგენლისაგან (სამუშაო ხელფასის საკითხებისათვის).

ამის გარდა, აკსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირში, სათათბირო ხმის უფლებით, მონაწილეობას იღებს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ერთი წარმომადგენელი.

თათბირის წევრებს დანიშნავენ ზემოაღნიშნული უწყებანი და დაწესებულებანი. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან არსებული სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირების შედგენილობა განისაზღვრება ამ რესპუბლიკების კანონმდებლობით.

21. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო თათბირის მიერ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების განხილვის შემდეგ, რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი გააერთიანებს ამ ხარჯთაღრიცხვებს ბიუჯეტის პროექტის სახით და შეიტანს ამ პროექტს სახალხო კომისარიატის მოხსენებით და რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნით იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა პროექტი რესპუბლიკის სახელმწიფო და მთელი სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების გეგმას, და რამდენად რეალურია აღრიცხული შემოსავალი.

რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის საბჭო შეიტანს მის მიერ დადასტურებულ ბიუჯეტის პროექტს რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც დაამტკიცებს მას სახალხო კომისარიატის საბჭოს მოხსენებით და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის დასკვნით.

22. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ბიუჯეტი გაიგზავნება ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოში.

23. ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭო განიხილავს საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებთან ერთად, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისიის მოხსენებით და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დასკვნით იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აღნიშნული ბიუჯეტები ა/კსფსრ სახელმწიფო და მთელი სახალხო მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების გეგმას, და აგრეთვე, რამდენად რეალურია აღრიცხული შემოსავალი.

24. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოში შეტანილი ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი იმავე დროს ეგზავნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ, რომელნიც თავიანთ დასკვნას წარადგენენ ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოში ორი კვირის ვადაზე.

25. ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო განიხილავს რესპუბლიკების ბიუჯეტებს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად რეალურია ამ ბიუჯეტებით აღრიცხული შემოსავალი და რამდენად შეესაბამება ეს ბიუჯეტები საერთო-საკავშირო და საერთო-ფედერატიულ კანონმდებლობას და აგრეთვე ა/კფსრ სახელმწიფო და მთლად სახალხო მეურნეობისა და მის ცალკეულ გვეგებს.

26. უკეთუ ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკა წარადგენს დეფიციტიან ბიუჯეტს ან არ შეასრულებს ამა დებულების 25 მუხ. აღნიშნულ ამა თუ იმ პირობას, თუნდაც ბიუჯეტი უდეფიციტო იყოს, ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო შეიმუშავებს რესპუბლიკის ბიუჯეტში შესატან საჭირო ცვლილებებს და აცნობებს ამას რესპუბლიკის მთავრობას. ასეთ შემთხვევაში ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო შეიტანს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში შემოსენებული რესპუბლიკის ბიუჯეტს მის მიერ ნაპროექტევი ცვლილებებით. უკეთუ რესპუბლიკის მთავრობა თანახმა არ არის ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ნაპროექტევი ცვლილებებისა, იგი შეიტანს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში თავის პასუხს.

**შენიშვნა.** ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის წარდგენასთან ერთად, წარადგენს აგრეთვე, ამ პროექტის დანართების სახით, რესპუბლიკების ბიუჯეტებს, რაც დამტკიცებულია ამ რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ.

## კ ა რ ი IV.

### ა/კფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულება.

27. საერთო-ფედერატიული ბიუჯეტი და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტები მიიქცევა აღსრულებისათვის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ (დებულების მე-7 მუხ.)—შემოსავალ-გასავლის წლიური განრიგებისა და კრედიტების გახსნის შესახებ ცალკეული მიწერილობების დაგზავნით.

საერთო-ფედერატიული ბიუჯეტისა და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების კრედიტების მთავარი განმკარგულებელი (დებ. მე-31 მუხ.) წარადგენენ ა/კფსრ-ისა და რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში წლიური შემოსავალ-გასავლის განრიგებებს სახარჯთაღრიცხვო კრედიტების მიხედვით და მოთხოვნებს კრედიტების გახსნის შესახებ სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის და სახეხარჯთაღრიცხვო ასიგნების მიხედვით. ფინანსთა სახალხო კომისარიატები შეუდარებენ მიღებულ განრიგებებსა და მოთხოვნებს კრედიტების გახსნის თაობაზე დამტკიცებულ ბიუჯეტს და გაუზიარებენ ამ განრიგებსა და მოთხოვნებს: ა/კფსრ ცენტრალურ დაწესებულებათა საგანკარგულებო კრედიტებზე—სახელმწიფო ბანკის სამხარეო კონტორას, ხოლო ყველა

სხვა კრედიტებზე—სათანადო საფინანსო ორგანოს და სახელმწიფო ბანკის სათანადო დაწესებულებას.

28. უკეთეს სსრკ-ის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე დამტკიცებულ არ იქნა, ხარჯები, ბიუჯეტის დამტკიცებამდე, წარმოებულ უნდა იქნეს სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული სპეციალური დადგენილებების თანახმად.

29. სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში (ა/კფსრ ტერიტორიაზე) გახსნილი კრედიტები, კრედიტების მთავარ განმკარგულებელთა განკარგულებით, შეიძლება გადატანილ იქნეს რომელიმე აღნიშნული დაწესებულების ანგარიშებიდან სხვა ასეთსავე დაწესებულების ანგარიშებზე: საერთო-ფედერაციული ბიუჯეტით—მთლად ა/კფსრ ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებით—უწყებელი რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში.

**შენიშვნა.** ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების კრედიტების გადატანა სახელმწიფო ბანკის იმ დაწესებულების ანგარიშებიდან, რომელიც ერთ-ერთი რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, სხვა რესპუბლიკის ფარგლებში მომქმედი დაწესებულების ანგარიშებზე, რეგულირდება განსაკუთრებული წესებით, რასაც გამოსცემს ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების 30 მუხლის შენიშვნის თანახმად, გამოცემული წესების საფუძველზე.

30. ხარჯთაღრიცხვების კრედიტების მთავარ განმკარგულებელად არიან სახალხო კომისარები და სხვა პირნი, რომელნიც დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვების მქონე დაწესებულების სათავეში სდგანან (მე-14 მუხ. 1-ლი პუნ. და მე-15 მუხ. 1 პუნ.).

იმ კრედიტების მთავარ განმკარგულებელთ, რომლებიც ბიუჯეტით ვათვალისწინებულა ცალკეულ უწყებათა და დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების გარეშე განსაზღვრავენ ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭო და რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები—კუთვნილისამებრ.

31. გახსნილ კრედიტებს განმკარგულებელნი ხარჯავენ პირდაპირი დანიშნულებისამებრ,—სახელდობრ იმ საჭიროებაზე, რაც ვათვალისწინებულა სათანადო სახარჯთაღრიცხვო დანაყოფებით.

32. კრედიტების გადატან-გადმოტანა შეიძლება სწარმოებდეს შემდეგი წესით:

ა) ერთდღიამევე ხარჯთაღრიცხვის ამა თუ იმ თავის შიგნით პარაგრაფიდან პარაგრაფში—კრედიტების მთავარი განმკარგულებლის განკარგულებით, გარდა სამუშაო ხელფასის კრედიტისა, რომლის გადატან-გადმოტანა შეიძლება კრედიტების მთავარი განმკარგულებლის შეთანხმებით ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ან ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან;

ბ) თავიდან თავში—კრედიტების მთავარი განმკარგულებლის შეთანხმებით ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ან ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან; ამასთანავე, სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯთაღრიცხვის ერთი თავიდან მეორე თავში კრედიტის გადატან-გადმოტანა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, რომ თვითველ თავში კრედიტების თანხა შეიცვალოს არა უმეტეს, ვიდრე ხუთი პროცენტით;

გ) ხარჯთაღრიცხვიდან ხარჯთაღრიცხვაში და აგრეთვე სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯთაღრიცხვის ერთი თავიდან მეორე თავში, უკეთეს კრედიტის გადასატან-გადმოსატანი ნაწილის რაოდენობა აღემატება ამა მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობას; საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტში—ა/კფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს დადგენილებით, ხოლო ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ბიუჯეტში—ამ რესპუბლიკის სახალხო კომისარიატ საბჭოს დადგენილებით, რასაც ეს საბჭო აცნობებს ა/კფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრით, ზემოაღნიშნულ დადგენილებებს აცნობებს სსრკ-ის სახალხო კომისარიატ საბჭოს;

დ) საერთო-ფედერატიული ბიუჯეტიდან რესპუბლიკის ბიუჯეტში ან წინაუქმოდ, და აგრეთვე ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მეორე რესპუბლიკის ბიუჯეტში—ა/კფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს შეთანხმებით დაინტერესებული რესპუბლიკის სახალხო კომისარიატ საბჭოსთან.

**შენიშვნა.** ერთი თავიდან მეორე თავში კრედიტების გადატანას ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვებში აწარმოებენ ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ა/კფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან ან ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

33. უკეთეს საბიუჯეტო წლის განმავლობაში აღიძვრის გადაუდებელი საჭიროება ისეთი ხარჯის გაწვევისა, რის ბიუჯეტში გათვალისწინებაც არ შეიძლება და რის დაკმაყოფილებაც სხვა ხარჯების ეკონომიით შეუძლებელია,—კრედიტების მთავარ განმკარგულებელთ უფლება ეძლევათ გამოითხოვონ ზეხარჯთაღრიცხვო კრედიტები ა/კფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს და რესპუბლიკების სახალხო კომისარიატ საბჭოების სარეზერვო ფონდებიდან—კუთვნილებისამებრ.

34. ა/კფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს სარეზერვო ფონდი იხარჯება ა/კფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს სპეციალური დადგენილებების მიხედვით და ა/კფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინასწარი დასკვნით.

35. ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისარიატ საბჭოების სარეზერვო ფონდების ხარჯვის წესი მყარდება ამ რესპუბლიკების კანონმდებლობით.

## კ ა რ ი V.

ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშის შედგენისა, განხილვისა და დამტკიცების წესი.

36. ა/კსფსრ ყოველწლიური ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშის შედგენილობაში შედის: საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის აღსრულების ანგარიში და აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ბიუჯეტების აღსრულების ანგარიშები.

37. აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ბიუჯეტების აღსრულების ანგარიშები, ამ რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დამტკიცების შემდეგ, გაიგზავნება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და, მისი მინდობილობით, ამ ანგარიშებს და საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი გააერთიანებს ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშად, რომელიც შეიცავს ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილების აღსრულების საერთო საბალანსო ჯუშოს. ანგარიშს განიხილავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და შეიტანს დასამტკიცებლად ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში.

38. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო განიხილავს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენებით და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დასკვნით.

39. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში წარსადგენი ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების საბალანსო ჯუშოლი, საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის აღსრულების ჯუშოლი და ის ცვლილებანი, რაც, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინადადებით, შეტანილ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების აღსრულების ანგარიშებში, ეცნობება ამ რესპუბლიკებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში წარდგენასთან ერთად. რესპუბლიკების მთავრობათ ეძლევათ ორი კვირის ვადა თავიანთი პასუხის წარსადგენად.

40. უკეთუ საჭირო იქნება, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო შეიტანს ცვლილებებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების აღსრულების ანგარიშებში, რასაც აცნობებს ამ რესპუბლიკების მთავრობათ. აღნიშნულ ცვლილებებსა და მათ შესახებ რესპუბლიკების მიერ წარდგენილ პასუხებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო მოახსენებს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

41. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დაამტკიცებს ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენებით და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის დასკვნით.

42. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების აღსრულების ანგარიშების წარდგენის ვადას, აგრეთვე ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშის წარდგენის ვადას განსაზღვრავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

43. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო გამოსცემს, სართო-საკავშირო კანონმდებლობის შესაბამისად, ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშების შედგენისა და განხილვის რეგულირების წესებს.

საერთო-საკავშირო და საერთო-ფედერატიული კანონმდებლობის შესაბამისად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოები გამოსცემენ ამ რესპუბლიკების ბიუჯეტების აღსრულების ანგარიშების შედგენისა და განხილვის რეგულირების წესებს.

44. საერთო-ფედერატიული ბიუჯეტისა და აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის ბიუჯეტების აღსრულების ანგარიშები შედგენილ უნდა იქნეს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამებისა და ფორმების მიხედვით; ამასთანავე, ანგარიშებს დართული უნდა ჰქონდეს განმარტებითი წერილები და დასკვნები ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა საფინანსო-საკონტროლო სამმართველოების ხაზით (საკონტროლო ანგარიშები).

**დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**167. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შესახებ.

ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კახიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შესახებ.

მუხ. 1. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რომელიც მოწყობილია ა/კსფსრ კონსტიტუციის 25 მუხ. თანახმად და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, დაეკისრება ა/კსფსრ საფინანსო საქმის საერთო ხელმძღვანელობა და საფინანსო პოლიტიკის გაერთიანება.

მუხ. 2. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი უშუალოდ ექვემდებარება ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და ანხორციელებს როგორც ამ ორგანოებისა, ისე სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილებებსა და დირექტივებს.

მუხ. 3. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ჩაატაროს ოპერატიული მუშაობა საფინანსო საქმის ყველა დარგში ამა დებულებით განსაზღვრულ ფარგლებში; ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა და მათი ქვემდებარე საფინანსო ორგანოების ოპერატიული მუშაობას;

ბ) შეიმუშაოს ფინანსებისა და კრედიტის სფეროში გენერალური და პერსპექტიული გეგმებისა და წლიური საკონტროლო ციფრების პროექტები, აგრეთვე ა/კსფსრ საფინანსო მუერნობის წლიური ჯუმლობითი გეგმის პროექტი და წარადგინოს ყოველივე ეს დასამტკიცებლად არსებული წესისამებრ; განახორციელოს აღნიშნული გეგმები და შეადგინოს მათი აღსრულების ანგარიშები;

გ) შეიმუშაოს, ა/კსფსრ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში წარსადგენად, პროექტები სათანადო დადგენილებებისა—ხარჯთაღრიცხვების და ბიუჯეტების შედგენისა, განხილვისა, მსვლელობისა და დამტკიცების წესის შესახებ; სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის კლასიფიკაცია; ჯუმლებისა, ნუსხებისა, ხარჯთაღრიცხვებისა და მათი დანართების ფორმები; საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯების აღრიცხვის საფუძვლები და სხვ.;

დ) გაუწიოს ხელმძღვანელობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების პროექტების შედგენას და მისცეს დასკვნა ამ ბიუჯეტების თაობაზე იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად რეალურია შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა და რამდენად შეესაბამება ეს ბიუჯეტები საერთო-საკავშირო და ფედერატიულ კანონმდებლობას და დირექტივებს ბიუჯეტის შედგენის შესახებ და აგრეთვე აღნიშნული ბიუჯეტებისათვის განსაზღვრულ საკონტროლო ციფრებს; მისცეს სახელმძღვანელო დირექტივები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებსა და საერთო-ფედერატიულ და გაერთიანებულ უწყებებს მათი მოქმედების რეგულირებისათვის სახარჯთაღრიცხვო-საბიუჯეტო და საკასსო-საოპერაციო საკითხების სფეროში; თვალყური ადევნოს საერთო-ფედერატიული და გაერთიანებული უწყებებისა და

დაწესებულებების მიერ წარსადგენი საფინანსო საშემოსავლო-საგასავლო ხარჯთ-  
აღრიცხვებისა და სახალხო მეურნეობის დაფინანსების შესახები განცხადებე-  
ბის შედგენას; განიხილოს და შეამოწმოს ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვები  
და განცხადებები; შეადგინოს ფედერატიული და ერთიანი სახელმწიფო ბიუჯე-  
ტების პროექტი და მათი შესახები განმარტებითი წერილი და აგრეთვე ამ  
ბიუჯეტების შემოსავალ-გასავლის ნუსხა სათანადო ინსტანციებში წარსადგე-  
ნად; შეადგინოს ფედერატიული და რესპუბლიკანური ბიუჯეტების საკონტრო-  
ლო ციფრების ჯამლობითი პროექტი ზემოაღნიშნული განცხადებებისა და სა-  
კონტროლო ციფრების პროექტების თანახმად; შეუთანხმოს საუწყებო მოთხოვ-  
ნილებანი სახელმწიფო სახსარს;

ე) ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის  
როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილის საკასსო აღსრულებას, აგრეთვე  
საერთო-საკავშირო და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების იმ ნაწი-  
ლის საკასსო აღსრულებას, რაც აღსრულებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ტერიტო-  
რიაზე, და მიიღოს სათანადო შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიება სისწორით  
აღსრულების უზრუნველყოფად; მოაწესრიგოს ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო  
ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის აღსრულება ბიუჯეტით აღრიცხული სახელმწიფო  
შემოსავლის ფაქტიურად მიღების შესაბამისად; გაანაწილოს დამტკიცებული  
ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული კრედიტები კვარტალებზე; ხელ-  
მძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემაჯავალი რესპუბლიკების ბიუ-  
ჯეტებით კრედიტების გახსნის წესს; განასიგნოს, გადაიტან-გადმოიტანოს და  
აღნუსხოს კრედიტება საერთო-ფედერატიულ და გაერთიანებულ უწყებებსა და  
დაწესებულებებში; მისცეს განკარგულება რესპუბლიკანურ საფინანსო ორგა-  
ნოებს საერთო-საკავშირო ბიუჯეტის კრედიტების მოძრაობის თაობაზე—სსრკ-  
ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის დავალებით, და აგრეთვე საერთო-ფედე-  
რატიული ბიუჯეტის კრედიტების მოძრაობის საკითხების თაობაზე; მისცეს  
დასკვნა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან სახეხარჯთ-  
აღრიცხვო ასიგნების გადადების შესახებ აღძრულ შუამდგომლობათა თაობაზე;  
ზედამხედველობა გაუწიოს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა სათანადოდ  
მუშაობას სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების საკასსო აღსრულებისა  
და სპეციალური და სადებოზიტო სახსარის ოპერაციების წარმოების სფეროში,  
თანაც იმ უფლებით, რომ გამოიკვლიოს ხოლომე სახელმწიფო ბანკის დაწესებუ-  
ლებათა საქმისწარმოება აღნიშნული მუშაობის სფეროში; შეადგინოს საერთო-  
საკავშირო ბიუჯეტისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ა/კსფსრ  
ტერიტორიაზე აღსრულებისა და აგრეთვე ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუ-  
ჯეტის აღსრულების წინასწარი საკასსო ანგარიშგება;

ვ) განიხილოს და დაამტკიცოს საერთო-ფედერატიული და გაერთიანებუ-  
ლი უწყებების სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვები და შეადგინოს ა/კსფსრ  
სპეციალურ სახსართა საერთო ფონდი;

ზ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა ა/კსფსრ საგადასახადო ორგანოე-  
ბის მოქმედებას და აგრეთვე თვალყური ადევნოს შეწერილი გადასახადებისა,  
გამოსაღებებისა და აქციზის და მათი ნარჩენების შემოსვლის საქმის მიმდი-

ნარეობას და მიიღოს ღონისძიებანი მათი წარმატებით გადახდევინებისათვის; აწარმოოს რევიზია და საგადასახადო საქმის დაყენების გამოკვლევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებში და მათ ქვემდებარე საფინანსო ორგანოებში და გაუწიოს ამ ორგანოებს ინსტრუქტირება; თვალყური ადევნოს გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების დებულებისა და გარეგანი საგადასახადო ზედამხედველობის დებულების განხორციელებას და მისცეს სახელმძღვანელო განმარტებანი ამ დებულებათა შეფარდების საკითხების გამო; განიხილოს და გადასწვიტოს გადახდელთა საჩივრები; განიხილოს და გადასწვიტოს შუამდგომლობანი სახელმწიფო გადასახადთა, გამოსაღებთა და აქციზის მოხსნისა და შეტანის ვადის გადადებისა და განაწილებისა, აგრეთვე არა სისწორით გადახდევინებულ სახელმწიფო გადასახადთა თანხების დაბრუნების შესახებ; შეიმუშაოს განზრახვლებანი სასურველ ცვლილებათა შეტანის თაობაზე გადასახადთა, გამოსაღებთა და აქციზის კანონებში და პროექტები დადგენილებებისა საგადასახადო შეღავათების და გამონაკლისების საკითხების შესახებ; შეიმუშაოს კანონპროექტები, წესები და ინსტრუქციები ადგილობრივ გადასახადთა თაობაზე;

თ) შეიმუშაოს საკითხები: 1) სახელმწიფო ქონებათა და საწარმოთა არასაგადასახადო შემოსავლის შესახებ; 2) მრეწველობისა, ელექტროფიკაციისა, საგარეო და შინა-ვაჭრობისა, კოოპერაციისა, სოფლისა და ტყის მეურნეობისა და ირიგაციის დაფინანსებისათვის საჭირო ხარჯების შესახებ; 3) კანონით განსაზღვრული კატეგორიის საწარმოთა და ორგანიზაციათა საჯარო ანგარიშების შესახებ; 4) შეიმუშაოს საკონცესიო საკითხები საფინანსო მხრით და თვალყური ადევნოს კონცესიონერების მიერ საფინანსო ვალდებულებათა აღსრულებას;

ი) გაუწიოს ადმინისტრირება ფედერატიულ ბიუჯეტში გატარებულ არასაგადასახადო შემოსავალს; გაუწიოს ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების ასეთთავე მუშაობას იმ სახელმწიფო შემოსავლის სფეროში, რაც რესპუბლიკანურ ბიუჯეტშია გატარებული; აღნუსხოს ეს შემოსავალი და თვალყური ადევნოს ამ შემოსავლის თავის დროზე შემოტანას; აღნუსხოს ის სახელმწიფო კაპიტალები, რაც მოთავსებულია ა/კსფსრ სხვადასხვა სახელმწიფო საწარმოსა და კოოპერატიულ ორგანიზაციაში და თვალყური ადევნოს ამ კაპიტალების მიზანშეწონილად გამოყენებას;

კ) გამოსცეს წესები სამეურნეო საწარმოთა და ორგანიზაციათა საჯარო ანგარიშების შესახებ და თვალყური ადევნოს ამ წესების შესრულებას იმ ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ, რომელნიც ვალდებულ არიან აწარმოონ ეს ანგარიშება; მონაწილეობა მიიღოს ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთა და ორგანიზაციათა ანგარიშებისა და ბალანსების განხილვისა და დამტკიცებაში; გამოარკვიოს მათი მოგება და მონაწილეობა მიიღოს ამ მოგების განაწილებაში; დაამყაროს მეთოდები და ვადები ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთა მოგებიდან ხაზინის შემოსავალში გადასაცემი ანარიცხების გადახდევინებისათვის; თვალყური ადევნოს, რათა თავის დროზე და სრულად შევიდეს ფედერატიულ ბიუჯეტში შემოსავალი აღნიშნულ საწარ-



მოთაგან და მიიღოს საჭირო ღონისძიება ამ შემოსავლის გადასახდევინებლად; ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების ასეთსავე მუშაობას რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა მიმართ; გაუწიოს მათ ინსტრუქტირება საჯარო ანგარიშგების წესებისა, ბალანსების განხილვის მეთოდებისა და ამ ბალანსების თაობაზე დასკვნების შედგენის სფეროში; შეადგინოს ჯუმლობითი ბალანსები და გაუკეთოს ანალიზი ამ ბალანსებს ა/კსფსრ ყველა იმ საწარმოს მიმართ, რომელიც საჯარო ანგარიშგებავალდებულია;

ლ) შეადგინოს სახალხო მეურნეობის დაკრედიტების წლიურ და კვარტალურ გეგმათა პროექტები; შეადგინოს დასკვნა სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის გეგმის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილის თაობაზე; შეადგინოს და განიხილოს ბანკების საჯუმლო კვარტალური გეგმები; განიხილოს ა/კსფსრ უწყებათა მიერ შედგენილი საწარმო-საფინანსო, სავაჭრო-საფინანსო და საპერსპექტივო გეგმები და მისცეს მათ შესახებ დასკვნა; შეიმუშაოს ბიუჯეტებიდან სესხთა გაცემისა და დაფარვის პირობები და აწარმოოს ბანკების მიერ გაცემულ სესხთა აღნუსხვა;

მ) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების საქმეს და იმავე სფეროში ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ქვემდებარე საფინანსო ორგანოებს; გაუწიოს ინსტრუქტირება ადგილობრივი ფინანსების გამგებელ ორგანოებს და, თუ საჭირო იქნება, გამოიკვლიოს ეს ორგანოები და აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებანი; შეისწავლოს ადგილობრივი საფინანსო მეურნეობა, რათა სათანადოდ განაწილოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის ყოველგვარი დახმარება სახელმწიფო სახსარიდან;

ნ) შეადგინოს ადგილობრივი ფინანსების საკონტროლო ციფრები და ადგილობრივი სახსარის განსამტკიცებლად სახელმწიფო შემოსავლიდან ასიგებისა, სესხისა და დახმარების გაცემის პროექტები, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო სახსარიდან გადაღებულ სასუბვენციო ფონდებისა და სხვა დახმარების განაწილების პროექტები; ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა იქონიოს, რათა ადგილობრივი არასავადასახადო შემოსავლის წყაროები წესიერად იქნეს გამოყენებული; განიხილოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ადგილობრივი ბიუჯეტის საპერსპექტივო გეგმები და შეადგინოს ა/კსფსრ ადგილობრივი ბიუჯეტის საერთო საპერსპექტივო გეგმა; განიხილოს ადგილობრივი ბიუჯეტები და მისცეს მათ შესახებ დასკვნები; შეადგინოს ა/კსფსრ ადგილობრივი ბიუჯეტების ჯუმლი და აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტის აღსრულების ანგარიშების პერიოდული ჯუმლები;

ო) საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ-ში სავალუტო-საკრედიტო საქმეს და იმავე სფეროში ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ქვემდებარე საფინანსო ორგანოების მოქმედებას; ზედამხედველობა გაუწიოს, კანონით დადგენილ ფარგლებში, ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ საკრედიტო დაწესებულებებს და ფილიალებს როგორც საერთო-

საკავშირო, ისე მოკავშირე რესპუბლიკების ბანკებისას, აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბანკებს და საურთიერთო კრედიტის საზოგადოებებს;

3) მონაწილეობა მიიღოს ა/კსფსრ ფარგლებში მომქმედი ბანკების საკრედიტო გეგმებისა და ა/კსფსრ ჯუშმლობითი საკრედიტო გეგმის შედგენასა და განხილვაში და აგრეთვე ზედამხედველობა გაუწიოს ბანკების მიერ ამ გეგმების აღსრულებას; განიხილოს შუამდგომლობანი ახალ საკრედიტო დაწესებულებათა გახსნის თაობაზე, დაამტკიცოს მათი წესდებები და შესცვალოს მომქმედი წესდებები თანახმად საამისოდ არსებული კანონებისა; საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიოს ქვედა საკრედიტო კოოპერაციის მოქმედებას, როგორც უშუალოდ, ისე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების მეშვეობით; მოაწესრიგოს ა/კსფსრ ფარგლებში, სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ღირეპტივების მიხედვით, ფულისა და ვალუტის ბრუნვა და საზღვარგარედ ვალუტის გატანის საქმე; მონაწილეობა მიიღოს ა/კსფსრ საექსპორტო-საიმპორტო გეგმების თაობაზე დასკვნათა შედგენაში; ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო სესხთა მოთავსების საქმეს და აგრეთვე ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიოს ამ სესხთა ბრუნვისა და დაფარვის საქმეს;

ე) გაუწიოს ზედამხედველობა, არსებული კანონების ფარგლებში, სახელმწიფო შრომითი შემნახველი საღაროების მოქმედებას და საერთო ხელმძღვანელობა—სასინჯო სამმართველოების მუშაობას;

რ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოების მოქმედებას;

ს) გაუწიოს ზედამხედველობა, სპეციალურ კანონდებულებათა ფარგალში, ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს.

მუხ. 4. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის დაკისრებულ ამოცანათა განსახორციელებლად მას შეუძლიან:

ა) შეიმუშაოს, ა/კსფსრ უმაღლესი ორგანოების დავალებით და აგრეთვე თავისი ინიციატივით, დეკრეტებისა და დადგენილების პროექტები საფინანსო სფეროში—ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოებში შესატანად, აგრეთვე შეიმუშაოს და შეიტანოს იმავე ორგანოების მიერ განსახილველად საერთო-საკავშირო მნიშვნელობის კანონპროექტები, რომლებიც, საკანონმდებლო ინიციატივის წესით, წარედგინება დასამტკიცებლად სსრკ-ის საკანონმდებლო ორგანოებს; მისცეს დასკვნა იმ დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტების გამო საფინანსო საკითხების სფეროში, რომლებიც გატარებულ უნდა იქნეს საერთო-საკავშირო წესისამებრ; აგრეთვე იმ დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტების გამო, რასაც ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოებში შეიტანენ სხვა სახალხო კომისარიატები და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები;

ბ) მოაწიოს ფედერატიული (ა/კსფსრ) საფინანსო ორგანოები; შეიმუშაოს ა/კსფსრ რესპუბლიკანური, საოლქო და ადგილობრივი საფინანსო ორგანოების

სტრუქტურა, ქსელი და საშუალო კონტინენტი და საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მოქმედებას;

გ) გამოსცეს, თავისი კომპეტენციის ფარგალში, დადგენილებები, დებულებები, ინსტრუქციები, ბრძანებები, ცირკულიარები და სხვ. და გასცეს განკარგულებები; აგრეთვე ზედამხედველობა გაუწიოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე საფინანსო კანონმდებლობის თანაბარ შეფარდებას;

დ) ზედამხედველობა გაუწიოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა და ყველა ქვემდებარე საფინანსო დაწესებულების მიერ კანონებისა და სსრკ-ის და ა/კსფსრ უმაღლესი ორგანოების განკარგულებების შესრულებას და მიიღოს, არსებული წესისამებრ, სათანადო ღონისძიებანი ქვემდებარე საფინანსო ორგანოების არასწორი მოქმედების თავიდან ასაცილებლად;

ე) ზედამხედველობა გაუწიოს, არსებული წესისამებრ, ა/კსფსრ ყველა დაწესებულებისა, საწარმოს და პირის მიერ საფინანსო კანონმდებლობისა და სათანადო ინსტრუქციების შესრულებას და აგრეთვე მიიღოს სათანადო ღონისძიებანი მათ მიერ აღნიშნული კანონმდებლობისა და ინსტრუქციების შესრულებისათვის;

ვ) გადასწყვიტოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებათა და პირთა მოქმედებისა და განკარგულების გამო შეტანილი საჩივრები და წარმართოს ეს საჩივრები კუთვნილებისამებრ, უკეთეს საჩივრები შეეხება ისეთ საგანს, რაც ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის კომპეტენციის ფარგალს სცილდება.

მუხ. 5. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათავეში სდგას ფინანსთა სახალხო კომისარი.

ფინანსთა სახალხო კომისართან იმყოფებიან მისი მოადგილე და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგია.

მუხ. 6. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარისა, მისი მოადგილისა და კოლეგიის წევრების უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება სახალხო კომისარიატების საერთო დებულებით.

**შენიშვნა.** ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარს უფლება აქვს შეაჩეროს, შესცვალოს და გააუქმოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატების რწმუნებულების (რომელნიც აღნიშნული რესპუბლიკების შედგენილობაში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში იმყოფებიან) დადგენილებები და განკარგულებები, როდესაც ეს დადგენილებები და განკარგულებები არ ეთანხმება სსრ-ისა და ა/კსფსრ კანონმდებლობას ან სსრკ-ისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატების სათანადო განკარგულებას; უკეთეს შესაჩერებელი, შესაცვლელი ან გასაუქმებელი დადგენილება ემყარება სათანადო რესპუბლიკის ან ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა თუ სახალხო კომისართა საბჭოს პირდაპირ განკარგულებას, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი განაპროტესტებს მას არსებული წესისამებრ.

მუხ. 7. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შედგენილობაში მოეწე-  
წეობა სამმართველოები, განყოფილებები და მათი შესაბამისი ნაწილები; აღ-  
ნიშნული სამმართველოებისა, განყოფილებებისა და ნაწილების რიცხვი, სახელ-  
წოდება, სტრუქტურა და ძირითადი ამოცანები განისაზღვრება ა/კსფსრ ფინანს-  
თა სახალხო კომისარიატის მიერ, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სა-  
ხალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ამა დებულებისა, ა/კსფსრ და სსრკ-ის  
სხვა კანონებისა და სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის დირექტივების  
საფუძველზე; აღნიშნული სამმართველოებისა, განყოფილებებისა და ნაწილების  
დებულებათ დაამტკიცებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი.

მუხ. 8. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეიძლება არსებობ-  
დენ საუწყებათაშორისო ორგანოები, რომლებიც იმოქმედებენ ა/კსფსრ მთავრო-  
ბის სპეციალური დადგენილებების თანახმად.

მუხ. 9. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ქვემდებარე ორგანოები  
არიან: ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო  
კომისარიატები, ფინანსთა სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართვე-  
ლოები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, სამაზრო-საქალაქო და სა-  
მაზრო საფინანსო განყოფილებები და აზერბაიჯანის სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა  
და საქართველოს სსრ-ის სადაირო, საგაგარაკო და სათემო საფინანსო ნაწი-  
ლები.

**შენიშვნა.** ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფი-  
ნანსთა სახალხო კომისარიატებისა, მათი რწმუნებულებისა ავტონომიურ  
რესპუბლიკებსა და ოლქებში და აგრეთვე ადგილობრივი საფინანსო ორ-  
განოების დებულებათ შეიმუშავებენ აღნიშნული რესპუბლიკების ფინანსთა  
სახალხო კომისარიატები ამა დებულების საფუძველზე და, ა/კსფსრ ფი-  
ნანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, წარუდგენენ დასამტკიცებ-  
ლად რესპუბლიკების მთავრობათ—კუთვნილებისამებრ.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებ- ელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

**168.** ა/კსფსრ ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა დე-  
ბულის დამტკიცების შესახებ.

„ადგილობრივი საბჭოების ქონებრივი უფლებების თაობაზე ძირითად  
დებულებათა სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრა-  
ლური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიატის საბჭოს 1929 წ.  
იანვრის 9-ს დადგენილების მე-3 მუხ. თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენენ:



1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა შესახებ.

2. ზემოაღნიშნული დებულების შემოღებისთანავე გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. აპრილის 30-ს დამტკიცებული დებულება ადგილობრივი საბჭოების ქონებათა შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-5 №-რი, მუხ. 433).

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ერთი თვის ვადაზე, შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა 1-ლ მუხლში აღნიშნულ დებულებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. კასიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიავა.

ამიერკავკასიის ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1929. წ. აგვისტოს 5. ტფილისი—სასახლე.

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

#### ა/კსფსრ ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა შესახებ.

1. ადგილობრივი მნიშვნელობის ქონებად ითვლება ყველა ის სახელმწიფო ქონება, რაც, სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის მიხედვით, მიკუთვნებული არ არის რესპუბლიკანურ, ფედერატიულ ან საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ქონებათათვის.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის ქონების განაწილება ან გარდანაწილება სხვადასხვა საფეხურის ადგილობრივ საბჭოებს შორის მოხდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ.

3. სათანადო ადგილობრივი საბჭოს გამგებლობიდან ადგილობრივი მნიშვნელობის ქონების ამორთმევა და რესპუბლიკანური, ფედერატიული ან საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ქონებათა რიცხვისათვის მიკუთვნება შეიძლება მოხდეს მარტოოდენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ან ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნით და აგრეთვე სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით და ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნით.



4. დადგენილება ადგილობრივი მნიშვნელობის ქონების გარდანაწილებისა და დადგენილება ადგილობრივი ქონების ამორთმევის შესახებ (მე-2 და 3 მუხ.) სამოქმედოდ შემოიღება საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან, იმ პირობით, რომ ეს დადგენილებები გამოქვეყნებულ იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე ოთხი თვით ადრე ამ ვადამდე. ის დადგენილება, რომელიც გამოქვეყნებულ იქნება არანაკლებ, ვიდრე ოთხი თვით ადრე საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, სამოქმედოდ შემოიღება აპის მომდევნო საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან.

5. ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიანთ:

ა) აწარმოონ მათ გამგებლობაში მოქცეული მიწებისა, საწარმოსი და სხვა ქონების ექსპლოატაცია როგორც საბიუჯეტო წესით, ისე კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპებზე;

ბ) მოაწყონ ახალი საწარმონი;

გ) გაასხვისონ მათ გამგებლობაში მოქცეული ქონება, სახელმწიფო ქონების გასხვისების კანონებით დადგენილი წესისამებრ, და გასცენ იგი იჯარით.

**შენიშვნა 1.** კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპებზე მოქმედ ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა მოწყობისა და მოქმედების წესი განისაზღვრება სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განსაკუთრებული კანონებით.

**შენიშვნა 2.** ადგილობრივი მნიშვნელობის ქონების კონცესიად მოწყობის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული კანონებით.

6. დამოუკიდებელი ბიუჯეტის მქონე ადგილობრივ საბჭოს შეუძლიან აილოს სესხი ამა დებულების ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნული წესების დაცვით.

7. სესხის აღება შეიძლება გრძელვადიანისა და მოკლევადიანისა როგორც სსრკ-ის ფარგლებში, ისე საზღვარგარედ. სესხს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულება. სესხის აღება ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად არ შეიძლება.

8. გრძელვადიანი სესხი აიღება მხოლოდ მისი დანიშნულების ზედმიწევნითი განსაზღვრით და მარტოოდენ კაპიტალური ხარჯების გასაწევად ადგილობრივი საბჭოს კუთვნილი ქონებისა და საწარმოს მოწყობისა, გავართობისა და აღდგენისათვის. მოკლევადიანი სესხი აიღება როგორც შემოაღნიშნული მიზნებისათვის, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის საბრუნავ სახსართა გასაძლიერებლად. სესხის გამოყენება ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად არ შეიძლება.

9. მოკლევადიანი სესხი აიღება ვადით არა უმეტეს 12 თვისა; ამასთანავე, ადგილობრივი ბიუჯეტის საბრუნავ სახსართა გასაძლიერებლად აღებული სესხი დაფარულ უნდა იქნეს იმავე საბიუჯეტო წელს.

10. ყოველ წელს აღებულ სესხთა საერთო თანხა არ შეიძლება აღემატებოდეს: გრძელვადიანისა—უწყებულ ადგილობრივი საბჭოს ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შემოსავლის  $\frac{1}{5}$ -სა, ხოლო მოკლევადიანისა— $\frac{1}{10}$ -სა. ამაზე დიდი რაოდენობის სესხის აღება შეიძლება მხოლოდ ზემდგომ ორგანოების ნებართვით,

ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

11. სესხის დაფარვისა, გადახდის უზრუნველყოფისა და არაპირიან გადამხდელთათვის იძულებითი გადახდევინების წესი განისაზღვრება ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

12. საზღვარგარედ სესხის აღება და საობლიგაცო სესხის აღება ადგილობრივ საბჭოს შეუძლიან მხოლოდ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით, ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით წარდგენილი ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შუამდგომლობისამებრ.

13. ადგილობრივი საბჭო მის მიერ აღებული სესხისთვის პასუხს აგებს ყველა თავისი შემოსავლით და მის გამგებლობაში მოქცეული ქონებით, რაზედაც, სსრ-ისა, ა/კფსრ-ისა და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის მომქმედი კანონების თანახმად, შეიძლება მიიქცეს გადახდევინება.

საერთო-სახელმწიფო ხაზინა ადგილობრივი საბჭოების მიერ აღებული სესხისთვის პასუხს არ აგებს.

14. ადგილობრივ საბჭოს შეუძლიან სესხი აიღოს აგრეთვე ისე, რომ იგი სპეციალურად უზრუნველჰყოს ცალკეული შემოსავლით ან ქონებით, რაც ზედმიწევნით აღინიშნება სესხის ხელშეკრულებაში; ამასთანავე, დაცულ უნდა იქნეს სსრკ-ისა, ა/კფსრ-ისა და ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონები.

სესხის უზრუნველსაყოფად განკუთვნილი შემოსავლის გამოორიცხვა საბიუჯეტო გარდანაწილების წესით არ შეიძლება სესხის სრულად დაფარვამდე.

15. ისეთი ცალკეული ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის გაუქმების დროს, რომელიც დავალიანებულია სესხით, ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის განსაკუთრებული საკანონმდებლო აქტით განისაზღვრება—რომელ ადგილობრივ საბჭოზე გადაიტანება პასუხისმგებლობა აღნიშნული სესხისთვის, და აგრეთვე—გაითვალისწინება სესხის სპეციალური უზრუნველყოფის შენარჩუნების წესი.

16. სხვადასხვა საფეხურის ადგილობრივი საბჭოების ქონებრივ უფლებათა მოცულობა და ამ უფლებათა განხორციელების წესი განისაზღვრება ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით ამა დებულების შესაბამისად.